საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 27 (2140) | ოთხშაბათი, 14 იანვარი, 1996 წელი | ფასი 30 თეთრი

გამონახეს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი

13 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამ დღეს თბილისში სამუშაო ვიზიტად ჩამოსული რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორი გენერალ-პოლკოვნიკი ანდრია ნიკოლაევი. გაიმართა საუბარი პირისპირ, რომელიც თითქმის ორ საათს გრძელდებოდა.

შემდეგ შეხვედრა მიმდინარეობდა გაფართოებული შემადგენლობით. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი ვალერი ჩხეიძე, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, ორივე მხარის წარმომადგენელი სხვა ოფიციალური პირნი.

საუბრის დასრულებისთანავე გაიმართა ბრიფინგი ჟურნალისტებისათვის, გენერალმა ანდრია ნიკოლაევმა განაცხადა, რომ მან წარმატებით გაართვა თავი სამუშაოს, რომლის განხორციელება დაავალეს საქართველოში. მან აღნიშნა, რომ გამოიკვეთა პოზიციები, რომლებსაც იზიარებენ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს პრეზიდენტები. უფრო მეტიც, როგორც რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა თქვა, ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ზოგიერთი დებულება საჭიროებს კორექტირებას მოსკოვში 19 იანვარს გამართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურების მიერ მიღებულ უკანასკნელ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, და საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ საქართველო-რუსეთის შეთანხმებათა უფრო ზუსტი შესრულების თვალსაზრისით.

როგორც ანდრია ნიკოლაევმა თქვა, არსებობს პრობლემები, რომლებიც აღელვებს როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ხელმძღვანელობას, მაგრამ ამ პრობლემათა თაობაზე გამოიკვეთა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი, რომლებიც მოუტანს სარგებელს ორივე მხარეს. მისი თქმით,

(დასასრული მე-2 გვ.).

დიპლომატიური ქრონიკა

გადაეცა რწმუნებათა სიგელები

13 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის სასახლის მიღებათა დარბაზში სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ლევონ ხაჩატრიანმა ელჩის უფლება-მოვალეობების დამადასტურებელი რწმუნებათა სიგელები გადასცა ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ელჩმა განაცხადა, რომ საქართველოში 3 წლის მოღვაწეობის განმავლობაში საკმაო გამოცდილება დააგროვა, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და გაფართოებას; აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია საქართველოში ელჩად დანიშვნა. ბატონმა ლევონ ხაჩატრიანმა თქვა, რომ სომხეთის მთავრობა და თვით ელჩი მომავალშიც ყველაფერს იღონებენ, რათა ქართველი და სომეხი ხალხების თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს.

საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა ბატონ ლევონ ხაჩატრიანის ელჩად დანიშვნის გამო და განაცხადა, რომ ორი ქვეყნის ტრადიციული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში მისი, როგორც ელჩის, როლი კიდევ უფრო გაიზრდება.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის საზეიმო ცერემონიის შემდეგ საუბარი [illegible] მიმდინარეობდა.

[illegible]

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია კმაყოფილია საქართველოში მიმდინარე რეფორმებით

13 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას, ფონდის სამხრეთის განყოფილების უფროსის მოჰამედ შადმან ვალავის ხელმძღვანელობით. შეხვედრას ესწრებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ჯან-იე ვანგი. საუბარი შეეხო ესაფის (სტრუქტურული გარდაქმნების დაფინანსების გაფართოებული მექანიზმის) კრედიტის გამოყოფის საკითხს. ეს არის სამწლიანი შეღავათიანი სესხი, რომელსაც საქართველო გარკვეული წინაპირობების შესრულების შემდეგ მიიღებს.

როგორც შადმან ვალავიმ განაცხადა, მისია კმაყოფილია ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებითა და საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებით. მისი აზრით, ეს არის ყველაზე პროგრესული ბიუჯეტი, რომელიც პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა მიიღეს. ასევე შედეგიანად მიმდინარეობს მოლაპარაკება კრედიტორებთან. კერძოდ, ისინი მზად არიან შეხვდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და შეძლებისდაგვარად მოაგვარონ აღნიშნული პრობლემა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს ჩამობრძანებისათვის და ხაზი გაუსვა იმ დახმარებას, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები უწევენ საქართველოს. კიდევ ერთხელ აღნიშნა ბიუჯეტის დამტკიცების მნიშვნელობა და სტუმრებს გააცნო ორი უმნიშვნელოვანესი — „კომერციული ბანკებისა" და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების" შესახებ დამუშავებული კანონპროექტის გამო გაწეული სამუშაო. აღნიშნული კანონები საქართველოს პარლამენტმა უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს, მათი დამტკიცების შემდეგ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო გადაწყვეტს საქართველოსათვის ესაფის გამოყოფის საკითხს.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მილოცვა

ქალბატონ მზექალა შანიძეს

ქალბატონო მზექალა,

მომიტევეთ, რომ დაბადების დღეს დაგვიანებით გილოცავთ, მაგრამ არ მომელოცა არ იქნებოდა, რადგან თქვენ, დიდი მამის ღირსეულმა შვილმა და თავად შესანიშნავმა მეცნიერმა, ყველას უჩვენეთ მაგალითი იმისა, რომ როცა ქვეყანას უჭირს, მეცნიერმა თავისი კაბინეტის სიმყუდროვე წამიერად მაინც უნდა დათმოს და ხალხს უთხრას ის ჭეშმარიტი სიტყვა, რასაც მისგან ქვეყანა მოელის.

თქვენ, ძველი ქართული ტექსტების შესანიშნავმა მკვლევარმა, თანამედროვე ცხოვრების სირთულესაც შესანიშნავად აუღეთ ალღო და დადექით იქ, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა.

თქვენ ყოველთვის ღრმა მეცნიერი და მიუდგომელი, მკაცრი პედაგოგი ბრძანდებოდით და ბრძანდებით.

იმედი მაქვს, დღესაც და მომავალშიც ასეთივე სიღრმით, მიუდგომლობითა და სიმკაცრით, მაგრამ სამართლიანად განსჯით იმ რთულ პროცესს, რომელსაც ახალი საქართველოს შენება ჰქვია და თქვენც მიიღებთ მონაწილეობას ამ პროცესში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და ყოველივე კარგს გისურვებთ.

პატივისცემით

ღიმილიანი მზექალა

მართლაც რომ ამზექალებულია ამ ფოტოსურათზე მზექალა შანიძე... უშურველი ღიმილი მოჰფენია სახეს, სადღაა დიდი ბატონი აკაკის „მკაცრი ქალიშვილი", აბიტურიენტებს ელეთ-მელეთი რომ მოსდით მისი სახელის გაგონებაზე, სტუდენტები დღე-ღამეს რომ ასწორებენ მისი გამოცდის მოლოდინში....

დამიჯერეთ, მისგან „გაწამებული" აბიტურიენტები და სტუდენტები: ნამდვილი მზექალა შანიძე სწორედ ეს არის — შინაგანი სინათლითა და სიკეთით სავსე ქალბატონი.

* * *

„მობრძანდით, მობრძანდით... აი, იქ შედით და მე ახლავე მოვალ... სარეცხი მაქვს დილიდანვე"... რამდენიმე წუთში შემოდის და ქალისა და ოჯახის თემას აგრძელებს: „ქალის მუშაობის პირობები მძიმეა ჩვენში. მით უმეტეს, დღესდღეობით, წარმოუდგენლად დამძიმდა... მე ორი ქალიშვილის დედა ვარ, ოთხი შვილიშვილის ბებია, ერთი შვილთაშვილიც მყავს... მალე კვლავ შვილთაშვილს ველოდები... გაწამაწიაში ვარ... (ეღიმება) თქვენ კი, ალბათ, მარტო წიგნებში თავჩარგული მეცნიერი გეგონეთ, არა?"

— თითქმის...

— ჰოდა, შეცდით... მე არც ბაზარში სიარული მეკვირს... წიგნებსა და ხელნაწერებს რომ ჩავუჯდები (ახლა უფრო შინ ვმუშაობ, ხელნაწერთა ინსტიტუტში საყინულეა), სწორედ მაშინ შემოვა ოთახში მარიამი — ჩემი ხუთი წლის შვილიშვილი და სწორედ ჩემს მაგიდაზე მოუნდება ხატვა... მოგვაკითხავს მალე... გაგაცნობთ... საოცრად ცოცხალი ბავშვია... ქართული და რუსული წერა-კითხვა ჩვენს დაუხმარებლად ისწავლა...

— რაღა თქმა უნდა... გენები...

არაფერს ამბობს, მერე თითქოს, საუბარი სხვა თემაზე გადააქვს: „მამაჩემი იტყოდა — ფილოლოგი არ ვარგა, თუ ენები არ იცისო... 14 წლისა ვიყავი, ბერძნულის სწავლა რომ დამავალა...

— საინტერესოა, თქვენ რა თვისებები გამოგყვათ მამისა, ქალბატონო მზექალა?

— ნეტა მეტი გამომყოლოდა... ორ თვისებას მაინც გამოვყოფ: ერთი ის, რომ ვერ ვიტან საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას. მამაჩემი ყოველ წვრილმანს თვითონ აკეთებდა (ვთქვათ, მასალების მოძიება, კორექტურა)... საქმე ყველა ერთია — დიდი და პატარა არ არსებობს.. აუცილებელია გულდაგულ აკეთო კაცმა ყველაფერი...

მეორე უკავშირდება დღეს უკვე ანეკდოტად ქცეულ. თითქოსდა ჩემს სიკერპესა და სიავეს, თითქოსდა ნიშანს რომ არავის ვუწერ და ასე შემდეგ... ეს ხმები იმათი დაყრილია, ვისაც ძალიან უნდოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში და „მწვანე შუქი" ანთებოდა ათასგვარ მაქინაციებს... ჩვენთან რომ „ჩაწყობა" იყო მთავარი... იცით, რომ მამაჩემმა მე არ „ჩამიწყო" საქმე?... უნივერსიტეტი რომ დავამთავრე (გიორგი წერეთლის ასპირანტი ვიყავი), კარგა ხანს უმუშევარი დავდიოდი... ბატონი ნიკო მუსხელიშვილი იყო მაშინ აკადემიის პრეზიდენტი. არ სთხოვა მამაჩემმა, რომ რამე გამოეძებნა ჩემთვის ბატონ ნიკოს... ბატონი ივანე ჯავახიშვილის წერილებში არის ერთი ასეთიც: სხლობელი სთხოვს — ამა და ამ კაცს, იმ საქმეში იქნებ დაეხმაროთ, ბატონი ივანე თავაზიანად ეუბნება უარს: ეგ კაცი იმ საქმისათვის არ გამოდგებაო... მე ყოველთვის ვიყავი თემების დაზუთხვის მექანიკური ზეპირობის წინააღმდეგი და პატივს ვცემდი დამოუკიდებელ, ანალიტიკურ აზროვნებას, არც იმით ვაჩხევდი თავბრუს აბიტურიენტებს, რაც საპროგრამო არ იყო... უფრო მათ კონტექსტს ვამოწმებდი... ეს კი ეწინააღმდეგებოდა თემების დაზუთხვის ნიკოლოზისდროინდელ მეთოდს...

ჩვენი თანამედროვე

— ქართულის გამოცდის ოპტიმალური ვარიანტი მაინც ვერ გამოიძებნა.

— ძნელია... ისე კი, თანდათან მივდივართ იქითკენ, რომ შერჩევის პრინციპი რაღაცნაირად დაიხვეწოს... ყოველ სიახლეს, ხომ იცით, შეცდომებიც ახლავს...

— ვახუშტი კოტეტიშვილი და ალექსი ჭინჭარაული რომ რაღაც-რაღაცა კურიოზებს ჰყვებიან თქვენზე, ნუთუ ყველა მართალია?

— ზოგი გადაჭარბებულია... ისე კი, მისაღებ გამოცდებზე ერთად ვიყავით ხოლმე და მოსაგონარიც, იცოცხლეთ, გვაქვს... აი, ერთ-ერთს გიამბობთ: პირველი აგვისტოა, გამოცდის წინ დილით, ჩავდივარ ვარაზისხევში კიბეებით, დამიცდა ფეხი და საშინლად დავეცი, ერთიანად გადამეტყავა მუხლები, წამომაყენა მეზობელმა, მიპატრონა, როგორც იქნა მივედი მაღლივ კორპუსში, ალექსი ჭინჭარაულმა ეტყობა შემამჩნია, და როგორც კი აუდიტორიაში შევედით, ეგრევე კაფია მომახალა: „თავიდანვე დავიბრიდეთ, დღე დაგვიდგა ცხელი ვითა, თავმჯდომარე დაგვიბინტეს ბუდიონის ცხენივითა".

პროფესორ მზექალა შანიძის „მთავარი საქმე" კი მაინც მეცნიერული კვლევა და უძველეს ხელნაწერთა გაშიფვრა-გამომზეურებაა. ათეული წლების მანძილზე იგი ხელნაწერთა ინსტიტუტში მოღვაწეობს და, როგორც თვითონ ამბობს, ყოველთვის რაღაც ახალს იგებს, ისეთს, რაც მანამდე არ იცოდა...

„მახსოვს, ერთ ზაფხულს მამა ჩვენთან ისვენებდა და ჩერჩილის მემუარებს კითხულობდა ინგლისურ ენაზე. რომ დაამთავრა, რამდენი რამე ვისწავლეო, თქვა თითქმის საუკუნეს მიტანებულმა კაცმა, მეცნიერული მუშაობის ძირითადი ინტერესი ის არის, რომ ყოველთვის რაღაცას სწავლობ. ბედნიერებაა, თუ იმის უნარი გაქვს, ყოფითი ამბები უკანა პლანზე გადასწიო და ინტელექტუალური შრომა ჯაბნიდეს ამ უმძიმეს ყოველდღიურობას".

მზექალა შანიძის მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი ძალზე ვრცელია. თუმცა, ძირითადად, იგი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლებზე მუშაობს, ეს კი, თუ შეიძლება ითქვას, კომპლექსურ განათლებას მოითხოვს. აი, მონოგრაფია „ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი", რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ.

ნაშრომში ტექსტის დასადგენად გამოყენებულია რვა ნუსხა, ფილოლოგიურ-ლინგვისტური ანალიზის შემდეგ მრავალი ადგილი, რომელიც ხელნაწერებში და „ქართლის ცხორების" ადრეულ გამოცემებში ენობრივად და შესაბამისად შინაარსეულად გაუმართავი იყო, ამ გამოცემაში (1992 წ.) გასწორებულია.

ფასდაუდებელია მეცნიერის ღვაწლი ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანების თუ ათონურ ხელნაწერთა აღწერილობის საქმეში. აწ გარდაცვლილი ღვაწლმოსილი კინორეჟისორის გურამ პატარაიას მიერ ათონიდან ჩამოტანილ მასალებში მზექალა შანიძემ მიაკვლია და შეისწავლა ერთი პატარა გრამატიკული თხზულება, რომლის მნიშვნელობა ძალზე დიდია. კერძოდ, ამ შესწავლით დადგინდა, რომ პირველი ქართული გრამატიკული თხზულებანი მეჩვიდმეტე საუკუნეში კი არა (როგორც აქამდე იყო ცნობილი) ბევრად ადრე — უკვე მეთერთმეტე საუკუნეში გვქონია.

„1975 წელს სინას მთაზე აღმოჩნდა ხელნაწერები, უფრო სწორედ, ხელნაწერთა ფრაგმენტები. მათ შორის იყო X საუკუნის რამდენიმე ქართული ხელნაწერი და ფსალმუნი. სინას მთაზე ორჯერ იყვნენ ჩვენი მეცნიერ-მკვლევარები: ზაზა ალექსიძე, მიხეილ ქავთარია და ლილი ხევსურიანი, ჩამოიტანეს კიდეც იქიდან ძეგლთა აღწერილობა, რომელსაც ახლა მე ვთარგმნი ინგლისურად, რათა უცხოეთშიც გაიგონ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი"...

* * *

...და შემოდის მარიამი — კოხტა და კუდრაჭა მარიამი, თვალებში ეშმაკები რომ უთამაშებენ, ეხუტება ბებოს, ასე გვითვალთვალებს ერთხანს და მერე ისევ კარებისკენ მირბის. ალერსიანი ღიმილით აცილებს ქალბატონი მზექალა, თან რაღაც დარიგებას ადევნებს... ჯანსაღად არის დიდი აკაკი შანიძის ჯიში და ნაგრამი... სულ მალე ერთი ციცქნა სულიერიც, ხვალინდელი დღის კიდევ ერთი იმედი მიემატება ამ სიხასხასეს.

მაშინ ნახეთ მზექალას ღიმილი...

ვილენ მარდალეიშვილი.

მძევლად აიყვანეს ქართველი ლტოლვილები

12 თებერვალს ზუგდიდში თავი მოიყარა დაახლოებით 600 კაცმა, ძირითადად, გალის რაიონის სოფლებიდან, რომელთა ახლო ნათესავები — 70-მდე ადამიანი [illegible] დააკავეს აფხაზეთში. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ უმეტესობას შევსებული ჰქონდა ანკეტები, რომლებითაც აფხაზეთის მხარე მათი უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა.

შეკრებილთა წარმომადგენლები შეხვდნენ ზუგდიდის მერს ბონდო ჯიქიას და მოითხოვეს კონკრეტული ზომების მიღება რუსეთის სამშვიდობო ძალების იმ მოსამსახურეთა მიმართ, რომლებიც სამხედრო ტექნიკით მიუძღოდნენ აფხაზ ბოევიკებს სადამსჯელო ოპერაციის დროს, მოითხოვეს აგრეთვე ამ საკითხზე გენერალ იაკუშევის განმარტება.

14 საათზე ენგურის ხიდზე გაიმართა შეხვედრა გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა გაეროს სამშვიდობო მისიის უფროსი გენერალი კარსტრომი. აფხაზთა მხარემ წამოაყენა მოთხოვნა, გადაეცათ მათთვის ორი აფხაზი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც გაიტაცა ამჟამად აფხაზთა ტყვეობაში მყოფი სიკვდილმისჯილი რ. გოგოხიას ძმამ, მათ განაცხადეს, რომ მხოლოდ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ გაათავისუფლებენ მძევლებს და გადმოსცემენ ქართულ მხარეს ბოევიკების მიერ მოკლული სამი ქართველის ცხედარს. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში იმუქრებიან, რომ აიყვანენ ახალ მძევლებს და განახორციელებენ ტერორისტულ აქტებს ზუგდიდის რაიონში.

საქინფორმი.

აქტები უკანონო იყო

უკანონო იყო 1995 წელს მინისტრთა კაბინეტის თექვსმეტი აქტიდან თხუთმეტი, რომლებიც ეხებოდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სტრატეგიული ნედლეულის გატანას, განაცხადა რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ რევაზ უიფიანმა. ეს გადაწყვეტილებები, აღნიშნა მან, ეწინააღმდეგება 1995 წლის 21 თებერვალს პარლამენტის მიერ მიღებულ დადგენილებას „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანის შესახებ".

ამ უკანონო გადაწყვეტილებების მეოხებით სხვადასხვა ფირმების მიერ „გამონაკლისის უფლებით" საზღვარგარეთ გაიტანეს ასობით ტონა სტრატეგიული ნედლეული. საგამოძიებო ორგანოებმა გამოავლინეს აგრეთვე სილიკო-მანგანუმის გატანის საქმეში დაშვებული სერიოზული დარღვევები.

სეპარატიზმის სარკე

ედუარდ შევარდნაძე პირველად უამბობს საქართველო-აფხაზეთის ომის დაწყების საიდუმლოებებს „მოსკოვსკი კომსომოლეცის" კორესპონდენტს

ЗЕРКАЛА
СЕПАРАТИЗМА
Эдуард Шеварднадзе впервые рассказал корреспонденту "МК" о тайнах начала грузино-абхазской войны

სიტუაციას, რომელშიც ახლა საქართველო აღმოჩნდა, შეიძლება შევხედოთ როგორც ჩვენს მომავალს — დროთა განმავლობაში რუსეთსაც ასევე მოუწევს „კოჭი უგოროს" ჩეჩნეთს, ხან დაყვავებით, ხან დამუქრებით, რათა ძალით დააბრუნოს მოძმე ხალხების ოჯახში. ერთი შეხედვით, აფხაზეთისა და ჩეჩნეთის ისტორია მართლაც წააგავს ერთმანეთს და, როგორც თავად შევარდნაძემ ბრძანა, „რომ არ ყოფილიყო აფხაზეთი, არც ჩეჩნეთი იქნებოდა", მხედველობაში ჰქონდა რა ავტონომიის გამოყოფის პრეცედენტი, მაგალითი.

რაც მთავარია, ყველაფერი ასევე დაიწყო — საქართველოს ხელისუფლებმა, ისევე როგორც რუსეთის ხელისუფლებმა, მოახდინეს თავიანთ ტერიტორიაზე ომის პროვოცირება, როცა 1992 წლის ზაფხულში აფხაზეთში ჯარები შეიყვანეს, თუმცა სინამდვილეში იგეგმებოდა „წესრიგის დამყარებისათვის გამიზნული ოპერაციის" მსგავსი რამ.

ჩეჩნეთის ომის ისტორიას უამრავი ანალოგი აქვს. რაღაც უმნიშვნელო დეტალებიც კი მეორდება, მაგრამ, რაკი აფხაზეთისა და ჩეჩნეთის ომები ასე წააგავს ერთმანეთს, ალბათ, ორი კონფლიქტის შემდგომი განვითარებაც მსგავსი იქნება. მართლაცდა, აქ ვერავითარ ორიგინალურ გადაწყვეტილებას ვერ მოიგონებ. ცნობილია, რომ ამბოხებულ ავტონომიას იმორჩილებენ მხოლოდ სამი გზით: ან ომით (ეს უკვე სცადეს საქართველომაც და რუსეთმაც), ან მოლაპარაკებით (ესეც სცადეს), ან ეკონომიკური სანქციებით (საქართველო ამას უკვე მიმართავს, ჩვენ ჯერ არა). რუსეთი ერთგვარად მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა — ჩვენ შეგვიძლია თვალი ვადევნოთ იმას, რას შვრება საქართველო აფხაზეთის მიმართ, ვისწავლოთ მათ შეცდომებზე, გამოვიყენოთ მათი დადებითი გამოცდილება. და არ გამოვიგონოთ ჩვენი ველოსიპედი.

— ბატონო ედუარდ, მაინც როგორ დაიწყო ყველაფერი? როგორ მოხდა აფხაზეთში ჯარების შეყვანის გადაწყვეტილების მიღება?

— ამაზე არასოდეს მილაპარაკია, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, დადგა დრო გიამბოთ. ამაში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი და ეს უნდა ვაღიაროთ.

1992 წლის ზაფხულში ასეთი სიტუაცია იყო — აფხაზეთის ტერიტორიაზე გაუთავებლად ხდებოდა რკინიგზის შემადგენლობებზე და სხვა ტრანსპორტზე თავდასხმები, პრაქტიკულად ყოველდღე. ზარალი უზარმაზარი იყო — იგი 10 მილიარდ მანეთს აღემატებოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავდა ეს თანხა 1992 წელს!, თანაც ზარალი ადგებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც, სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც, იმიტომ, რომ ამ სახელმწიფოთა კუთვნილი ტვირთი ამ გზებით გადაჰქონდათ. გარდა ამისა, ბოლო არ უჩანდა მკვლელობისა და ადამიანთა გატაცების შემთხვევებს. გატაცებული ჰყავდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტის პირადი თანაშემწე.

რაღაც უნდა გვეღონა. 11 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზეც განვიხილეთ ეს საკითხი.

— რა ორგანო იყო ეს სახელმწიფო საბჭო?

— 1991 წლის დეკემბერში გამსახურდიას დამხობის შემდეგ საქართველოში ახალ არჩევნებამდე გარდამავალი პერიოდისათვის შეიქმნა სამხედრო საბჭო. ამ საბჭოში სამნი იყვნენ — ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა. შემდეგ, როცა გაზაფხულზე საქართველოში დავბრუნდი, სამხედრო საბჭო გარდაიქმნა სახელმწიფო საბჭოდ. ხელმძღვანელები ვიყავით ჩვენ ოთხნი, ყველას თანაბარი უფლებები გვქონდა, მაგალითად, სახელმწიფო საბჭოს ნებისმიერ წევრს შეეძლო ვეტო დაედო დანარჩენების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისათვის. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ლეგიტიმური ორგანო, ხალხს იგი არ აურჩევია.

— იყო თუ არა სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულო მისი ყველა წევრისათვის?

— საქმეც ის გახლავთ, რომ არა. მაგალითად, კიტოვანს შეეძლო შეესრულებინა და შეეძლო არ შეესრულებინა. ასეც მოხდა.

მაშინ, იმ საგანგებო სხდომაზე მივიღეთ გადაწყვეტილება დაგვეცვა რკინიგზის ყველაზე „სახიფათო" მონაკვეთი — ლესელიძიდან სამტრედიამდე, რომელიც მთელ აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოზე გადიოდა. შემუშავდა სქემა. გზების დაცვისათვის შეყვანილი სამთავრობო ჯარები არ უნდა შესულიყვნენ დასახლებულ პუნქტებსა და „ადამიანთა თავშეყრის ადგილებში". გეგმის თანახმად, ისინი დისლოცირებული უნდა ყოფილიყვნენ სამ ბაზაზე — სოხუმის, ლესელიძისა და სამტრედიის რაიონებში. ქვეგანაყოფს უნდა დაეცვა რკინიგზის შემადგენლობა (დაგეგმილი იყო სპეციალური პლატფორმების გამოყენება, რომლებზეც დადგმული იქნებოდა საარტილერიო ქვემეხები — სხვაგვარად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ბანდიტები თავით-ფეხამდე იყვნენ შეიარაღებული) და გაჰყოლოდა მატარებელს სამტრედიამდე, დაეცვათ იგი ყველაზე სახიფათო მონაკვეთზე, იქ მატარებელი უნდა გაეჩერებინათ, დაესვენათ, ამ დროს კი მეორე ქვეგანაყოფი მორიგ შემადგენლობას გამოჰყვებოდა. და ეს ყველაფერი როგორც დაგეგმილი იყო, უნდა განხორციელებულიყო აფხაზურ „ომონთან" და პოლიციასთან ერთად.

— იცოდა ეს ამბავი აფხაზეთის მთავრობამ? შეუთანხმეთ მათ ოპერაციის დეტალები?

— აფხაზეთში იცოდნენ ამის შესახებ. სხდომის შემდეგ პირადად დავურეკე არძინბას და ველაპარაკე ამის თაობაზე. პრინციპულად, იგი თანახმა იყო, კიტოვანს დავავალეთ გადაფრენილიყო აფხაზეთში და გაეცნო მათთვის ოპერაციის დეტალები, ყველაფერი დაწვრილებით შეეთანხმებინა, მაგრამ კიტოვანი არ წავიდა. ამის ნაცვლად დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მზადება ჯარების შეყვანისათვის.

— როგორ შეეძლო, ასე მოქცეულიყო...

— თავისებური კაცია, უმართავი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დაემართებოდა ციხეებში ნაჯდომ კაცს, უცბად რომ გახდებოდა ვიცე-პრემიერი, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი. იგი ფიქრობდა, რომ როგორც მინისტრმა, მარტო მან იცოდა, თუ რომელი გადაწყვეტილება იქნებოდა სწორი. სახელმწიფო საბჭოს წევრის სტატუსი კი, პრინციპულად, ნებას აძლევდა ემოქმედა ისე, რომ არ გაეთვალისწინებინა საერთო გადაწყვეტილება. ეს იყო ჩვენი პირველი შეცდომა — კიტოვანის უპასუხისმგებლობის გამო ვერ მოვახერხეთ შეგვეთანხმებინა არძინბასთან რკინიგზის გაკონტროლების ოპერაციის სქემა.

14 აგვისტოს სამთავრობო ჯარები შევიდნენ აფხაზეთში, გალის რაიონი განვლეს უმტკივნეულოდ — იქ ძირითადად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა, პირველი შეტაკება საქართველოს ჯარებსა და აფხაზურ პოლიციას შორის მოხდა ოჩამჩირის რაიონში. იქ პირველად დაიღვარა სისხლი, დაიღუპნენ ადამიანები. კიტოვანი, რა თქმა უნდა, ამან არ გააჩერა და ჯარები სოხუმს მიადგნენ.

— კი მაგრამ, სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული სქემით ჯარები ხომ არ უნდა შესულიყვნენ ქალაქში?

— დიახ, მე მაშინვე კატეგორიულად ვუბრძანე კიტოვანს (მართალია, ეს ბრძანება შუამავლის მეშვეობით გადავეცი — თავად მისი ნახვა ვერ მოვახერხე), სოხუმში არ შესულიყო. ამავე დროს, ტელეფონით ველაპარაკე ელცინს, ის მაშინ სოჭში ისვენებდა. მან მითხრა: „ყურადღებით ვადევნებ თვალს სიტუაციას და ვფიქრობ, რომ თქვენ სერიოზულ ავანტიურაში გეხვევით, რას აპირებთ სოხუმში"?

(დასასრული მე-2 გვ.)

სეპარატიზმის სარკე

ედუარდ შევარდნაძე პირველად უამბობს საქართველო-აფხაზეთის ომის დაწყების საიდუმლოებებს „მოსკოვსკი კომსომოლეცის" კორესპონდენტს

(დასასრული)

მე ვუპასუხე, რომ ჩემის ფიქრითაც, რაღაც ცუდი რამ ხდებოდა, ავუხსენი, რაზე ვიყავით შეთანხმებული და ვუთხარი, რომ ჩემი მითითებები, სამწუხაროდ, ბოლომდე არ შესრულდა. ხოლო რაც შეეხებოდა სოხუმს (ელცინმაც მთხოვა ეს), პირობა მივეცი, რომ სოხუმში არ შევიდოდით, რომ ამას არ დავუშვებდი.

— ცდილობდა თუ არა არძინბა იმ დღეებში თქვენთან დაკავშირებას?

—ყოველივე ამან ორ თუ სამ დღეს გასტანა. თვითონ არძინბამაც დამირეკა, დამირეკეს მისმა თანამშრომლებმა, პრემიერის პირველმა მოადგილემ. ქართველებიც რეკავდნენ, ისინიც ითხოვდნენ, არ შეგვეშვა ჯარები ქალაქში, მე შევუთანხმდი არძინბას — თუმცა კი დაგვიანებით, რომ ვაიძულებდი პრემიერ-მინისტრ სიგუას და მინისტრ კიტოვანს ჩასულიყვნენ მასთან და ემსჯელათ შექმნილი სიტუაციის შესახებ. ამჯერად ისინი დამემორჩილნენ, გაფრინდნენ სოხუმში, მაგრამ არძინბამ არ ისურვა მათთან შეხვედრა. მაშინ ის უკვე სადღაც, რუსეთის მესაზღვრეების საგუშაგოზე იმყოფებოდა. არ ვიცი, შეეშინდა შეხვედრა, არ ვიცი, უნდოდა ამ ომის დაწყება.

სიგუა და კიტოვანი დაბრუნდნენ, ჩემი მითითება ქალაქში ჯარები არ შესულიყვნენ, ძალაში რჩებოდა, მაგრამ კიტოვანი მაინც იღებს გადაწყვეტილებას და შედის სოხუმში.

იქ მათ რამდენიმე დღე დასჭირდათ. იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, რა დაუშვებელი ფორმით მოქმედებდნენ. ქალაქში დაჰქროდნენ ტანკები, ჯავშნიანი მანქანები, მთავრობის სასახლიდან დროშა ჩამოხსნეს. თითქოს უცხო ქვეყანაში იყვნენ... ბევრი რამ, რაც მაშინ მოხდა, გაუმართლებელია და ნორმალურ მოვლენად ვერ ჩაითვლება.

— უწევდნენ თუ არა წინააღმდეგობას აფხაზი სამხედროები?

— არა, დიდი არაფერი წინააღმდეგობა გაუწევიათ. ძალები უთანასწორო იყო. თანაც მერე იქ ჩვენი დამატებითი ქვეგანაყოფები გაიგზავნა. მოსახლეობა კი იქ ძირითადად ქართული იყო, ასე რომ, მათაც არ გაუწევიათ წინააღმდეგობა.

ერთადერთი, რაც მაშინ შევძელი, შევაჩერე გუდაუთაზე იერიში. გუდაუთიდან სოხუმამდე სულ ოცდათხუთმეტი კილომეტრია. გუდაუთაში რომ შესულიყვნენ, ეს გამოიწვევდა ათიათასობით ადამიანის განადგურებას და ეს თითქმის მთლიანად აფხაზი მოსახლეობა იქნებოდა. იქ თავი მოიყარეს აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან ჩასულმა ლტოლვილებმა.

— ესე იგი, ამჯერად შესძელით კიტოვანის დაოკება?

— არა, სიტუაცია შეიცვალა. იქ მოწინავე რაზმებს ყარყარაშვილი მეთაურობდა (შემდეგ იგი თავდაცვის მინისტრი გახდა). მან რამდენჯერმე დამირეკა და მე ვეუბნებოდი, თუ ანგარიშს მიწევთ, გიკრძალავთ გუდაუთაზე წასვლას-მეთქი.

— ელცინს მეტი აღარ დაკავშირებიხართ?

— სწორედ მაშინ კიდევ ერთხელ ველაპარაკე ბორის ელცინს. განვიხილეთ სიტუაცია და შევთანხმდით, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, არ დაგვეშვა ეს აქცია — გუდაუთის აღება.

ჩვენს სამხედროებთან კამათის დროს ჩემი არგუმენტი იყო ის ფაქტი, რომ გუდაუთაში დისლოცირებულია რუსეთის საკმაოდ ძლიერი საჯარისო ნაწილი და, ჩვენ თუ ქალაქში შევალთ, — შეტაკება რუსეთის ჯარებთან გარდუვალი იქნება, საერთოდ, ამ შემთხვევაში დამიჯერეს.

— მაშასადამე, გუდაუთაზე იერიში აღარ მიგიტანიათ, მაგრამ სოხუმში ჯარები დარჩნენ?

— თითქმის ორი წლის განმავლობაში იქ იმყოფებოდნენ ჩვენი ქვედანაყოფები, შენდებოდა თავდაცვითი ზღუდეები როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. მაგრამ სოხუმის აღებისთანავე, 1992 წლის 3 სექტემბერს, ყველა შევიკრიბეთ მოსკოვში და ხელი მოვაწერეთ დაზავების შეთანხმებას. უნდა შეწყვეტილიყო ყოველგვარი სამხედრო მოქმედება და ჯარები გამოგვეყვანა აფხაზეთიდან. მოსკოვის ხელისუფლების თანხმობით, იქ რჩებოდა მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც საჭირო იყო რკინიგზის დასაცავად. ამ საბოლოო დაზავებას ხელი მოაწერეს ელცინმა, შევარდნაძემ, არძინბამ და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ყველა ხელმძღვანელმა (დუდაევის გარდა).

სამწუხაროდ, შეთანხმების ხელმოწერის მეორე თუ მესამე დღესვე აფხაზებმა და დაქირავებულებმა — ჩვენ მათ დაქირავებულებს ვუწოდებთ, თუმცა, სინამდვილეში იქ იბრძოდნენ რეგულარული არმიის ცალკეული ნაწილები — წამოიწყეს დიდი იერიში გაგრის მიმართულებით, შემდეგ კი სოხუმის მხარესაც წამოვიდნენ, და შეთანხმება ამით ჩაიშალა.

— რეგულარული არმიის — რომლის? რუსეთისა?

— ალბათ. აბა, სხვას კიდევ ვის ჰყავდა იქ რეგულარული არმია... მონაწილეობდა ათასობით სამხედრო, უკვე არაფერს ვამბობ ჩეჩნებზე, კაზაკებსა და კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლებზე, ერთი სიტყვით, ეს იყო ნამდვილი შემოსევა იმ ქალაქებსა და სოფლებზე, რომლებშიც ქართველები ცხოვრობდნენ.

ამ ტრაგედიის დაწყების შემდეგ ჩვენ ოთხჯერ მოვაწერეთ ხელი სხვადასხვა შეთანხმებას დაზავების შესახებ (ამ საქმეში ყოველთვის მონაწილეობდა რუსეთის წარმომადგენელი), და ყოველი ხელმოწერის შემდეგ ახალი იერიში იწყებოდა. მაგალითად, 1993 წლის შემოდგომაზე ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც როგორც ჩვენ, ისე იმათ, უნდა გაგვეყვანა მძიმე ტექნიკა. ჩვენ ნამდვილად გავიყვანეთ ტექნიკა, აფხაზებმა კი დაიტოვეს იგი და თითქმის ორი კვირის შემდეგ დაიწყო ახალი შეტევა სოხუმზე, საბოლოოდ, ქალაქი აიღეს კიდეც.

— იცით, საიდან იღებდა აფხაზური მხარე მძიმე ტექნიკას? ომის დაწყებისთვის ხომ, როგორც თქვენ ამბობდით, მათ საერთოდ არ ჰყავდათ არმია, მარტო ომონელები და პოლიცია იბრძოდნენ.

— ამარაგებდნენ. როგორც ჩვენ ჩვეულებრივ ვამბობთ ხოლმე, ამარაგებდნენ რეაქციული ძალები.

აფხაზეთის მთელი ნახევარმილიონიანი მოსახლეობიდან აფხაზები მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდნენ. ფიზიკურად შეუძლებელია, რომ ჩვიდმეტმა პროცენტმა მოუწყოს გენოციდი და ეთნიკური წმენდა დანარჩენ ოთხმოცდასამ პროცენტს. ასე რომ, მათ უდიდეს დახმარებას უწევდნენ — იქნება ეს ფინანსური, სამხედრო, თუ სრულიად თანამედროვე ტექნიკა. მე თვითონაც მუდმივად ვიმყოფებოდი სოხუმში შტურმის დროს. ვიცი, თუ რას ნიშნავს „გრადის" ტიპის დანადგარი და ავიადაბომბვა. იქ ჩამოაგდეს სუ-27 ტიპის თვითმფრინავი, ჩემი თვალით ვნახე. საიდან უნდა ჰქონოდათ იგი აფხაზებს?

— საქართველოში თვითმხილველები ლაპარაკობენ მასობრივ მკვლელობებზე, დახვრეტაზე, დამსჯელ ოპერაციებზე, რომლებიც ხდებოდა მაშინ აფხაზეთში...

— იქ ფაქტობრივად ეთნიკური წმენდა მიმდინარეობდა. აფხაზეთის ნახევარმილიონიანი მოსახლეობიდან, რომლის ნახევარს ქართველები შეადგენდნენ, სამასი ათასი გამოდევნეს. არა მარტო ქართველები, არამედ სომხები, რუსები, ბერძნები. ათასობით ადამიანი დახვრიტეს. ეს არის ადამიანის სიცოცხლის უფლების ყველაზე საზარელი და აღმაშფოთებელი დარღვევა, რომელიც მოხდა მიმდინარე საუკუნის დამლევს. ეთნიკური წმენდის ფაქტი აღიარა ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირმა ბუდაპეშტში — ორმოცდათორმეტი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ეს დოკუმენტი რამდენჯერმე დაიმოწმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომაც თავის რეზოლუციებში.

აი, მოკლედ, ყოველივე ის, რაც მოხდა. ამაში ბრალი საქართველოს ხელმძღვანელობასაც მიუძღვის — ყველაფერი როდი გაკეთებულა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. კერძოდ, ის რომ, არძინბას არ გააცნეს რკინიგზათა დაცვის სქემა. იყო მხოლოდ წინასწარი მორიგება. მაგრამ ოპერაციაში აფხაზური პოლიციის მონაწილეობის დეტალები დათქმული არ ყოფილა. და მეორეც, რაც, როგორც ვფიქრობ, ჩვენს სინდისზე მოდის, არ შესრულებულა ბრძანება იმის თაობაზე, რომ დაუშვებელი იყო სოხუმში ჯარების შეყვანა. ეს მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს მხრივ გამოჩენილი აღმაშფოთებელი უპასუხისმგებლობა იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც შევარდნაძე ვერ მოიხსნის პასუხისმგებლობას.

ამის მიუხედავად, მაინც ვფიქრობ, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა არძინბას სახით ემზადებოდა ომისათვის და ეძებდა საბაბს. მიმდინარეობდა სამზადისი, ქირაობდნენ საუკეთესო სამხედრო სპეციალისტებს, ხდებოდა მოსახლეობის იდეოლოგიური მომზადება. აფხაზეთი ემზადებოდა ომისთვის, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სწორედ ამიტომ, რკინიგზის დაცვის ოპერაცია მათ გამოიყენეს, როგორც ომის დაწყების საბაბი. თუმცა, თავისთავად, ოპერაცია აბსოლუტურად „უწყინარი" იყო — ასეთ სიტუაციაში ჩვენ შეგვიძლია შევუთანხმდეთ ნებისმიერ ქვეყანას მატარებლების ერთობლივი დაცვის შესახებ. ეს ნორმალური პრაქტიკაა.

— ახლა, როცა უკვე ორ წელიწადზე მეტი გავიდა, თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის?

— საჭიროა მოლაპარაკება, რადაც უნდა დაგვიჯდეს ეს. სხვა გზა არ არის. არსებობს, რა თქმა უნდა, ძალის გამოყენების ვარიანტი, მაგრამ, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ შერიგებას. ამ წლების განმავლობაში დავდეთ რამდენიმე შეთანხმება, დაპირისპირების ხაზზე ჩადგნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები, მაგრამ მიღწეული მორიგებანი მაინც არ სრულდება. ლტოლვილები შინ ვერ დაბრუნებულან.

იანვარში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოზე მივიღეთ ახალი გადაწყვეტილება — გამოვიყენოთ ეკონომიკური სანქციები აფხაზეთის წინააღმდეგ, საგარეო კონტაქტებისაგან სრულ იზოლაციაში მოვაქციოთ სეპარატისტები.

— მაგრამ, ეს ნიშნავს იმას, რომ აფხაზეთი უბრალოდ, შიმშილით უნდა მოკლან?

— არა, საქონლის მიწოდება გამორიცხული არ არის. უბრალოდ, ყველაფერი უნდა გაიგზავნოს საქართველოს ტერიტორიის გავლით. საქართველოს მთავრობის ნებართვით. აფხაზეთში შეიძლება სურსათის, წამლების ჩატანა. სხვა სახელმწიფოებმა რომ არც გააკეთონ ეს, საკუთარ მოვალეობად მიგვაჩნია აფხაზების დახმარება. ჩვენ თვითონ ჩავიტანთ იქ ყოველივე იმას, რაც საჭიროა ადამიანების ცხოვრებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ის სრული იზოლაცია როდია, რომელიც, ვთქვათ, გამოყენებული იყო ერაყის მიმართ. ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით იმას, რომ აფხაზეთმა მიიღოს ელექტროენერგია, თუმცა, მის საფასურს საქართველო იხდის. მაგალითად, უკვე ახლა ჩვენ გვაქვს რუსეთის ვალი 80 მილიარდი რუბლი იმ ელექტროენერგიისათვის, რომელსაც იყენებს აფხაზეთი, ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ.

— ამ გზით რის მიღწევას აპირებთ?

— ჩვენ უნდა ვაიძულოთ აფხაზთა ხელმძღვანელობა მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას, დაასრულოს მოლაპარაკების პროცესი და უზრუნველყოს ადამიანების დაბრუნება შინ. სხვათა შორის, ოთხი თვის წინათ, მოსკოვში ხელმოწერილი იყო მემორანდუმი, რომელიც განსაზღვრავს აფხაზეთის სტატუსს საქართველოს ფედერაციულ სახელმწიფოში. მაგრამ შემდეგ აფხაზურმა მხარემ უარი თქვა უკვე ხელმოწერილ დოკუმენტზე. ისინი სპეციალურად აჭიანურებენ მოლაპარაკებას, სურთ დააკანონონ ეთნიკური წმენდის შედეგები. თანდათანობით ჩაასახლონ აფხაზეთში სხვადასხვა ქვეყნიდან სეპარატისტული რეჟიმისადმი მორჩილი ადამიანები. 1,5 ათასი ასეთი ოჯახი იქ უკვე დასახლდა.

— აფხაზეთში იმყოფება მრავალი რუსი სამხედრო, მათ შორის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც. ორი წლის განმავლობაში მათ ჩამოუყალიბდათ თავისებური, „ხელისუფლების ინფრასტრუქტურა", — მათ აქვთ სახლები და აგარაკები, აკონტროლებენ გზებს, ტრანზიტს, შოულობენ ფულს. ეს არალეგიტიმური ხელისუფლებაა, მაგრამ იგი არსებობს, და ისინი შეეცდებიან მის შენარჩუნებას. მათ არ სჭირდებათ საქართველოს შემადგენლობაში შემავალი აფხაზეთი.

— იცით, ალბათ, რომ, ნებისმიერი არმია — სამშვიდობო იქნება იგი თუ სხვა — როცა უმოქმედოდაა, იწყებს ხრწნას. აქაც, ენგურის „ქართულ" ნაპირზე, იგივე ამბავი ხდება სამშვიდობო ძალებში. მაგრამ ახლა მუშავდება სამშვიდობო ძალების ახალი მანდატი, ახალი ფუნქციები — შეიძლება მათ დაეკისროთ პოლიციის ფუნქციები, შეიძლება შეიქმნას კომენდატურები. ნუ იდგებიან უსაქმოდ, იმოქმედონ. ჩვენ გვჭირდება ძალა, რომელიც გარანტიას შეუქმნის ადამიანთა უსაფრთხო დაბრუნებას.

— მაგრამ, მაინც, როგორ განსაზღვრავთ აფხაზეთის სტატუსს?

— აფხაზეთი არის რესპუბლიკა, რომელსაც აქვს თავისი კონსტიტუცია, პარლამენტი, უზენაესი სასამართლო და სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტები, აქვს წარმომადგენლობის კვოტა საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებ ორგანოებში. სინამდვილეში, ჩვენ მათ მაქსიმალურ შესაძლებლობებს ვთავაზობთ. მაგალითისათვის, ჩრდილოეთ ოსეთს რუსეთის შემადგენლობაში გაცილებით ნაკლები უფლებები აქვს.

— აფხაზებს კი რა სურთ?

— დამოუკიდებლობა. სინამდვილეში, მათ არ სურ რუსეთთან შეერთება, თუმცა, ასეთ განცხადებებ კი აკეთებენ. ეს ბლეფია. მათ სულ სხვა გეგმები აქვ გაცილებით უფრო ვერაგული და შორსგამიზნულ

— რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტი წარმომადგენლები გვთავაზობენ ჩეჩნეთის პრობლემის ორიგინალურ გადაჭრას — ყველა ჩეჩენის გადასახლებას აფხაზეთში. როგორ უყურებთ ამ ვარიანტს?

— მათ უკვე წამოაყენეს ასეთი ვარიანტი და ზოგიერთები ჩამოსახლდნენ კიდეც, მაგრამ მათი რიცხვი არცთუ ისე დიდია. სახელმწიფო დონეზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. თუ ასეა, გადაასახლონ ისინი მოსკოვის ოლქში, რალა, მაინცდამაინც, აფხაზეთში?

— სამშვიდობო ძალებს მიეცემათ „პოლიციის მანდატი. ლტოლვილები დაიწყებენ შინ დაბრუნებას. სეპარატისტთა რაზმები იძულებული გახდებიან წავიდნენ მთებში — ყველაფერი მოხდება სცენარის მიხედვით. არ გეშინიათ კონფლიქტის ესკალაციის?

— მოსკოვში ხელმოწერილ მემორანდუმში, აღნიშნულია, რომ ეტაპობრივად მოხდება ამჟამად აფხაზეთში არსებული შეიარაღებული ძალების გაერთიანება ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან. აქ თანდათანობით შეიძლება გამოინახოს საერთო ენა და საერთო ინტერესები.

საერთოდ კი, თუკი სიტუაცია სტაბილური გახდება, უწინარეს ყოვლისა, აღვადგენთ რკინიგზას, გამოჩნდებიან ინვესტორები, და ორი-სამი წლის განმავლობაში ეს მხარე აყვავდება. თუ, რა თქმა უნდა, ეყოფათ პოლიტიკური ნება ვლადისლავ არძინბას და მის კოლეგებს ასეთი თამამი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხვა გზა კი არ არის—სხვა გზა მხოლოდ საომარია. ეს ჩვენ არ გვსურს, და ამიტომ, ახლა, დაჟინებით მოვითხოვთ იმას, რომ შემოღებულ იქნეს ეკონომიკური სანქციები პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრის მიზნით.

— არ გეშინიათ, რომ ყოფით დონეზე მოხდება შეტაკებები დაბრუნებულ ქართველ ლტოლვილებსა და აფხაზებს შორის?

— რა თქმა უნდა, ასეთი შეხლა-შემოხლაც იქნება. მაგრამ, თუ სამშვიდობო ძალები იკისრებენ ადამიანების დაცვას, ყველაფერი შედარებით ნორმალურად ჩაივლის. თანაც, ჩვენც ვაპირებთ მივიღოთ ამ საქმეში მონაწილეობა: არ შევუშვათ აფხაზეთში აგრესიულად განწყობილი ლტოლვილები, თუნდაც, ამ ეტაპზე. მაგრამ, როცა ნამდვილად დაიწყება შერიგების პროცესი, ადამიანებს ბევრი რამ დაავიწყდებათ. რეალური ცხოვრება აიძულებთ მათ, ყურადღება გაამახვილონ არა იმაზე, რაც მოხდა, არამედ იფიქრონ დღევანდელ დღეზე. მომავალზე, ყველაფერი მოგვარდება. თანაც, ჩვენ მაინც ნათესავები ვართ. არ არის ისეთი ქართული ოჯახი, დამოყვრებული რომ არ იყოს აფხაზეთთან ან მეგობრები არ ჰყავდეს აფხაზეთში.

ასე რომ, ვფიქრობ: დადგა დრო, როგორც აფხაზებმა, ისე ქართველებმა, გამოიჩინონ კეთილი ნება, სიმტკიცე, გაბედულება, სიბრძნე და დაძლიონ ის საზარელი შედეგები, რომლებიც დაგვიტოვა კონფლიქტმა, თვითონ რომ ვქმენით.

ესაუბრა

იულია კალინინა,

გაზ. „მოსკოვსკი კომსომოლეცი"

10/II-1996 წ.

გამონახეს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი

(დასასრული)

საქართველოს პრეზიდენტთან საუბრის დროს გადაწყდა აგრეთვე პრაქტიკული საკითხები, რომლებიც, კერძოდ, ეხება სასაზღვრო ჯარების დაკომპლექტებას, დაფინანსებას, მატერიალურ უზრუნველყოფას, რაც გახდება დიდი წვლილი საერთო უშიშროების საქმეში. შეეხო რა მდინარე ფსოუზე გამავალ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, შექმნილ ვითარებას, გენერალმა ნიკოლაევმა აღნიშნა, რომ საქართველოს მხარეს, წინათ მიღწეულ მორიგებათა შესაბამისად, ეყოლება იქ საკუთარი მეთვალყურეები.

გაუსვა რა ხაზი იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საზღვრის ერთობლივი დაცვა, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს საკითხი უაღრესად სერიოზულ ყურადღებას ითხოვს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელების მხრიდან. ყველაზე მთავარია, თქვა მან, მოსკოვის სამიტზე მიღებულ-გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა და სწორედ ამაზე იქნა გამახვილებული ყურადღება რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორთან საუბრის დროს. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რუსეთის დედაქალაქში 19 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებების, აგრეთვე რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონაკვეთზე, სოხუმის საზღვაო ნავსადგურში, აფხაზეთის ტერიტორიაზე პორტპუნქტებსა და საზღვაო აკვატორიაში სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმის შესახებ მისი ბრძანებულების თაობაზე ინფორმირებულია თურქეთის მხარეც, რომელიც გაგებით მოეკიდა ამას. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფალნი აპირებენ გამოიყენონ ნებისმიერი შესაძლებლობა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ აბაშიძემ განაცხადა, საუბრის დროს გენერალმა ნიკოლაევმა ედუარდ შევარდნაძეს გააცნო მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობა, აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა განხორციელდეს ერთობლივი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. მხარეებმა განიხილეს აგრეთვე რეგიონალური პრობლემები, კერძოდ, საზღვრის დაცვის საქმეში ბოევიკების, შეიარაღების, ნარკოტიკების შესაძლო შემოღწევის აღკვეთის მიზნით, რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა საქართველოს პრეზიდენტს გადასცა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის პირადი წერილი.

საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

ზ. წერეთლის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ზურაბ წერეთელი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

ზ. თაჟელიძის მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

ბოროტმოქმედთა დაკავებისას გამოჩენილი მამაცობისათვის, თავდადებისა და მხედრული ვალის მოხდისათვის თბილისის ვაკის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სამძებრო ჯგუფის ინსპექტორი პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ზაალ თაჟელიძე დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის" (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

ერედვში

პრეზიდენტის განკარგულებით ერედვის (შიდა ქართლის მხარე, გორის რაიონი) თემის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამ სოფლის მკვიდრი ზურაბ ქრისტესიაშვილი.

ზურაბ ქრისტესიაშვილი დაიბადა 1956 წელს. წარჩინებით დაამთავრა ერედვის საშუალო სკოლა, შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, მუშაობდა თბილისში, ცხინვალში, გორში. უკანასკნელ ხანებში იგი შიდა ქართლის რეგიონის კონტროლის პალატის ინსპექტორია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ერედვი ჩვეულებრივი ქართლის თემია, ამასთან ზედ ცხინვალზეა მიბმული. ეს გამოარჩევს მას სხვა სოფლებისგან, სწორედ ამ მხარეში პოლიტიკური სიტუაციის, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა შემდგომი გაჯანსაღება ქვეყნის პრეზიდენტის განსაკუთრებული ყურადღების სფეროშია მოქცეული.

ჰყავს აგრეთვე ბევრი მეგობარი და კეთილისმსურველი, მათ შორის ცხინვალშიც.

— არ გენატრება ცხინვალი?

— მომენატრება და ხშირადაც ჩავდივარ ხოლმე, მეგობრებსაც ვხვდები და ნათესავებსაც. დღეს ის სიტუაცია აღარ არის, ორი და სამი წლის წინ რომ იყო.

ამ დღეებში თემის ახალი გამგეობის თავმჯდომარის „ხელდასასხმელად" ერედვში ავიდნენ შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ბადრი ხატიძე, ადმინისტრაციის წევრები, მხარის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები.

სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმას, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პროცესი ახალ, პოზიტიურ ფაზაში შევიდა და სამხარეო ადმინისტრაციის ამ მიმართულებით ძალისხმევას მხარს უჭერს ოსური მხარეც. ქართველები თავიანთი პირადი საკითხების მოსაგვარებლად დღეს უფრო ხშირად, ვიდრე უწინ, და უშიშრად შედიან ცხინვალში, რაც შეეხება ოსებს, მათი ქ. გორისა და გორის რაიონის სოფლებში გამოჩენა, თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება და დამკვიდრება დღეს აღარავის უკვირს.

ერედველებთან შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სოფლად წესრიგის განმტკიცებაზე, საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადებაზე და, რა თქმა უნდა, ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებაზე.

ყველა ამ და სხვა საკითხზე ერედვის ათასკომლიან თემს შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციის თანადგომა და სრული მხარდაჭერა ექნება.

ზურაბ მამაკიძე.

პოზიცია: მოსაზრებანი აგრარული რეფორმის თაობაზე

საადგილმამულო (აგრარული) ურთიერთობანი მოიცავს მიწის საკუთრების, ფლობის, განკარგვის, დამუშავება-გამოყენების და მოსავლის განაწილების მთელ სისტემას.

ამას გარდა, აგრარულ ურთიერთობაში შედის მიწასთან დაკავშირებული ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემა, რომლებიც ყოფაში წარმოიშობა და აუცილებელ მოწესრიგებას საჭიროებს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და მისი ისტორია, ყოფა და კულტურა ძირითადად საადგილმამულო ურთიერთობათა სისტემით არის განპირობებული.

მიწის კერძო საკუთრება, როგორც საკაცობრიო პროგრესის ღერძი, ქართული ცივილიზაციის საწყისებიდან უკვე ცნობილია „ვენახოვანის" და „ხილოვანის" სახით. იგი ათასწლეულთა მანძილზე დაიხვეწა და ადრეულ შუა საუკუნეებში (არა უგვიანეს VI საუკუნისა) იურიდიულად სრულფასოვნად გაფორმებულ „ნასყიდად" ჩამოყალიბდა.

საადგილმამულო საკუთრების უფლება ოდითგანვე სამი ფორმით ვლინდებოდა: სამეფო-სახელმწიფო, სასოფლო-სათემო-საქალაქო (მუნიციპალური) და კერძო — „ნასყიდი".

სამივე ამ ფორმას მიწის ფონდის რაციონალური გამოყენება არეგულირებდა.

ქვეყნის უაღრესად დანაწევრებული მთიანი რელიეფი მკვეთრად გამოხატულ ვერტიკალურ ზონალობას განაპირობებდა. მრავალათასწლოვანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბდა ხუთი ბოტანიკურ-სამეურნეო არე (ნარინჯ-თურინჯის, ბრინჯ-ბამბის, ვენახოვანის, ვენახოვან-ხილიანის და უვენახო-უხილო, მაღალმთიანეთის სათიბ-საძოვრების), რომლებიც განაპირობებდნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სრულქმნილ განლაგებას შესაბამისი სოციალური ურთიერთობებით.

რაც უფრო მაღალმთიანი და მცირემიწიანი იყო სოფელი, მიწის, განსაკუთრებით სახნავ-სათესის კერძო საკუთრება მით უფრო მკვეთრად იყო გამოხატული.

მემინდვრეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის საფუძველთა საფუძველია. მასზეა დამოკიდებული არა მარტო მოსახლეობის გამოკვება, არამედ მესაქონლეობის განვითარებაც. ამიტომაც ჩვენთვის ისტორიულად დამახასიათებელია სიმბიოზური, შერწყმული მეურნეობა. „სახნავ-სათესი მიწებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ და მათ „ვენახოვანისა" და „ხილოვანისათვის" არ ჰაიმეტებდნენ. უფრო მეტიც, მთელი ქვეყნის განსახლების სისტემა იქეთ იყო მიმართული, რომ ყანები კარმიდამოებად არ გადაქცეულიყო. აქედან გამომდინარე, მთელი მთიანი საქართველო დასახნავად უვარგის ხელოვნურ ტერასებზე ცხოვრობდა, რაც ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით არა მხოლოდ განუმეორებელ კოლორიტს ქმნიდა, არამედ მწირი, უვარგისი ფერდობებისა და „ქედისზურგების" მომგებიანად გამოყენების დიდებულ ნიმუშსაც გვაძლევდა.

სამწუხაროდ, დღეს ყოველივე ეს დარღვეულია და თუ საგანგებო ზომები არ მივიღეთ, საბოლოოდ შეიძლება მარცვლეული კულტურებისთვის ვარგისი ფართობის გარეშე დავრჩეთ.

ამრიგად, საქართველოს მთა და მთისწინეთი, საზოგადოდ ყველა ის დასახლება, სადაც სავარგულთა რაოდენობა შეზღუდული იყო, უხსოვარი დროიდან წვრილგლეხური; წვრილმეურნეობრივი რჩებოდა მიწის კლასიკური კერძო საკუთრებით და გასხვისების სამართლებრივად სრულფასოვანი ნორმებით.

მკვიდრისა და მოსავლის უფლებათა ურთიერთშეხამება შთამომავლობით გადმოცემულ თუ შეძენილ მამულზე ქართული ეთნოსის უსაფრთხო არსებობის საწინდარი იყო.

მიწის ქრონიკული სიმცირით გამოწვეული წვრილმეურნეობრიობა, როგორც წესი, სილარიბის წყარო ხდებოდა და მთა ბარზე სისხლხორცეულად იყო დამოკიდებული, საქართველოს და თვით კავკასიის მაღალმთიანეთიც ქართული ბარის ჭირნახულით იკვებებოდა, ამას აღწევდნენ სტრატეგიული დანიშნულების სავარგულების ამომწურავად ათვისებით, მსხვილი მეურნეობების განმტკიცებით და იმ დროისათვის მოწინავე ტექნიკის სრულფასოვანი გამოყენებით.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო მსხვილი სატაძრო და საქალაქო, სამეფო და სამთავრო მეურნეობები.

ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ წარმართული სატაძრო მეურნეობები სამონასტრო მეურნეობებად გარდაისახნენ, ხოლო ქალაქებს თავიანთი სასოფლო-სამეურნეო არეალი, ანუ „ქუეყანა", ქალაქის საჭიროებაზე დასპეციალებული ირგვლივ განლაგებული სოფლების სახით, ოქტომბრის რევოლუციამდე შემორჩა.

რაც შეეხება სამეფო და სამთავრო მეურნეობებს, ისინი ვითარდებოდნენ და სახეს იცვლიდნენ ქართული ორიგინალური ფეოდალიზმის განვითარების კვალობაზე, როდესაც მიწის საკუთრება და ფლობა სოციალურ წოდებათა უფლებამოსილებას არეგულირებდა.

განვითარებულ შუა საუკუნეებში, ევროპის რენესანსზე გაცილებით ადრე, ქართული აღორძინება იყო, რომლის საფუძველი გახდა თავისუფალი შრომა, ბიზნესი და ხელშეკრული მეურნეობანი (აკად. შალვა ნუცუბიძე, [illegible]

განსხვავებულ შეხედულებათა

[illegible]

გასული წელი სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივისათვის, შემოქმედებითი მოღვაწეობის თვალსაზრისით, მეტად ნაყოფიერი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი თავისი არსებობის მხოლოდ ხუთ წელს ითვლის, მსოფლიოში თითქმის არ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიება, მიძღვნილი მედიცინაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისადმი, დიაგნოსტიკის საკითხებისადმი, ან უბრალოდ, რენტგენო-რადიოლოგიური პროფილით, ინსტიტუტის თანამშრომლები რომ არ იყვნენ მიწვეულნი. მარტო შარშან აშშ-ში, ინგლისში, ავსტრიაში, გერმანიაში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და საზღვარგარეთ სტაჟირებაზე 16 თანამშრომელი იმყოფებოდა.

წლის ბოლოს კი ინსტიტუტმა შეიძინა ულტრათანამედროვე, 1.700.000 ამერიკული დოლარის ღირებულების მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი.

იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ეს ტომოგრაფი და რამდენად დაეხმარება იგი მკურნალებს დიაგნოზის სიზუსტისათვის, განმარტება ვთხოვეთ ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ფრიდონ თოდუას.

მედიცინა

ენდეთ ულტრათანამედროვე ტომოგრაფის დიაგნოზს

— მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის შეძენა, — გვითხრა მან, — შეიძლება ითქვას, არა მარტო ჩვენი ინსტიტუტის, საერთოდ, მთელი ჩვენი ხალხისათვის არის დიდი მიღწევა. მაგნიტურ-ბირთვული რეზონანსის პრინციპზე დაფუძნებული ტომოგრაფია სრულიად ახალი მიმართულებაა მედიცინაში. ეს არის დიაგნოსტიკის ლიდერი — თავის ტვინის, ხერხემლის, გულსისხლძარღვთა და შარდსასქესო სისტემების, მუცლის ღრუს ორგანოთა დაავადებების დროს. ამ მეთოდის გამოყენების სპექტრი ყოველდღიურად ფართოვდება.

— ბატონო ფრიდონ, ცნობილი ფაქტია, საზღვარგარეთის ფირმებისაგან კრედიტის ან რაიმე ფინანსური დახმარების მისაღებად, მით უმეტეს ასეთი ძვირადღირებული ტექნიკის სანაცვლოდ, საჭიროა მათთვის მყარი გარანტიების მიცემა. ჩვენს ქვეყანაში, სადაც არ არსებობს უცხოელი ინვესტორების დამცავი არავითარი კანონი, როგორ მოახერხეთ ასეთი გარანტიის გამოძებნა?

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ფირმა „სიმენსთან" ჩვენს ინსტიტუტს კარგა ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. შარშან, მაგალითად, თბილისში ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმიც კი მოვაწყეთ.

გასულ წელს საქართველო გახდა ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი (ეს ორგანიზაცია 1962 წლიდან არსებობს და 30 ქვეყანას აერთიანებს). ზედმეტ თავდაჯერებაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ ამ მოვლენაში დიდი როლი სწორედ ჩვენი ინსტიტუტის საერთაშორისო აღიარებამ განაპირობა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ფირმა „სიმენსის" ნდობის მოპოვება მაინც ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, ჩვენში არ არის შექმნილი იმის პირობები, რომ უცხოეთის ფირმებთან თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა დავამყაროთ. ასეთ პირობებში ულტრათანამედროვე და ძალზედ ძვირადღირებული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის გაცემა, იოლი საქმე არ გახლავთ, მაგრამ ამ საქმეში დიდი დახმარება ჩვენი პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილმა გაგვიწია ფირმა „სიმენსის" პრეზიდენტისადმი. სწორედ მისი დიდი ავტორიტეტი გამოდგა ის სანატრელი გარანტია, რამაც უცხოელებს ჩვენთან თანამშრომლობა გადააწყვეტინა. ამიტომაც მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბატონ ედუარდ შევარდნაძეს უღრმესი მადლობა მოვახსენო ასეთი მხარდაჭერისათვის. მაგნიტურ-ბირთვული ტომოგრაფის შეძენა მარტო ჩვენი ინსტიტუტის წარმატება როდია. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ესაა ქართული მედიცინის ისტორიაში ახალი ეპოქის დასაწყისი.

— ახლა უშუალოდ რას წარმოადგენს ეს აპარატურა?

— სანამ მაგ კითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, მინდა გითხრათ, რომ როგორი თანამედროვე და ძვირადღირებული სამედიცინო ტექნიკაც უნდა გქონდეს, თუ კვალიფიციური სპეციალისტი არ მოემსახურება, მისი ფასი ნულია. სამწუხაროდ, ასეთი გამოცდილება ჩვენ გვაქვს. ვიძენდით მილიონიან აპარატურას და მერე აღმოვაჩენდით, რომ მისი, არამც თუ ამუშავება, აწყობაც არ შეგვძლებია. და ბევრი ასეთი აპარატურა, უბრალოდ, დაჟანგულა და გაფუჭებულა.

ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს უნიკალური საკვლევი აპარატურა, დღეისათვის სამედიცინო ტექნოლოგიები თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, ამიტომ საჭიროა საკუთარი ცოდნის მუდმივი სრულყოფა იმათთვისაც, ვინც ამ ურთულეს კიბერნეტიკულ ინტელექტუალურ სისტემებზე მუშაობს, და მათთვისაც, ვინც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიკეთით სარგებლობს.

კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ჩვენში სრულიად ახალი მიმართულებაა. საიდან გაჩნდებიან ამ სფეროში პროფესიონალები? იკითხავთ თქვენ.

დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა ჩვენთან მუშაობს „სიმენსის" ფირმის კომპიუტერული ტომოგრაფი. ჩვენი სპეციალისტები ნიადაგ სრულყოფენ თავიანთ ცოდნას. სტაჟირებისათვის მათ ვაგზავნით საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში. ამ მხრივ მჭიდრო კონტაქტი გვაქვს ავსტრიის ქალაქ გრაცის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის რადიოლოგიურ კლინიკასთან, სადაც ჩვენი ექიმები გადიან სტაჟირებას.

ჯერ კიდევ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის შეძენამდე, ჩვენთან ამ აპარატზე სამუშაოდ შეიქმნა ექიმებისა და ინჟინრებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებმაც სპეციალური სწავლების კურსი გაიარეს მოსკოვში, გრაცსა და ერლანგენში.

უკვე დავიწყეთ აპარატურის მონტაჟი. ბევრი რამ გაკეთდა. ბევრიც გასაკეთებელია. აპარატურის საფასური — 1.700 000 ამერიკული დოლარი „სიმენს" ხუთი წლის განმავლობაში უნდა გადავუხადოთ.

— ასეთ რთულ დროს, როცა სამედიცინო დაწესებულებათა უმრავლესობა ძალზე დუხჭირ მდგომარეობაშია, თქვენ ზრდასა და გაფართოებას აპირებთ. გასულ წელს კლინიკაც გახსენით. ისიც ცნობილია, რომ მისი მშენებლობა და აღჭურვა საკუთარი შემოსავლებით შეძელით, იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი წარმატების საიდუმლო, როგორ ახერხებთ ყოველივე ამას?

— წარმატების საიდუმლო მარტივია — სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება, თვითღირებულება.

მოგეხსენებათ, ჩვენი ინსტიტუტი საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს ექვემდებარება, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევდა და ახლაც მხარში გვიდგას. მაგრამ დღეს ყველას უჭირს და ასეთ დროს ჩვენ უნდა გვეფიქრა საკუთარ თავზე. ყოველივე ამან განაპირობა ძიება, რისი შედეგიც სამეურნეო ანგარიში გახლდათ.

ის, რასაც დღეს განიცდის საქართველოს ჯანდაცვა, ჩვენ ოთხი წლის წინათ გადავიტანეთ. გვქონდა სიძნელეები, მაგრამ შევძელით გამოსავლის პოვნა. დღევანდელ დღეს ყოველმა ხელმძღვანელმა უნდა იგრძნოს სრული პასუხისმგებლობა და ვალდებულება თავის საქმეზე. იფიქროს ხალხზე, ვინც მასთან მუშაობს. თუ ამას სიტუაციაც მოითხოვს, უნდა ეკონომისტიც გახდეს და მშენებელიც. გვეყო სტერეოტიპებით აზროვნება. ყველაფერში სიახლეა საჭირო.

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შედეგად, ინსტიტუტში შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური განვითარების ფონდი, რამაც ინსტიტუტს შესაძლებლობა მისცა გაეფართოვებინა ტექნიკური ბაზა, უფრო მაღალ დონეზე აეყვანა სამეცნიერო მუშაობა, გაეუმჯობესებინა თანამშრომელთა მატერიალური და სოციალური მდგომარეობა. აღნიშნული ფონდის შექმნამ იმის შესაძლებლობა მოგვცა, რომ შარშან ინსტიტუტში 6.000 სოციალურად დაუცველი პირისათვის გაგვეწია უფასო სამედიცინო მომსახურება.

— კიდევ რა სიახლე გაქვთ?

— ჩვენთან შემოვიღეთ შიდასაინსტიტუტო დაზღვევა — თანამშრომლებს ხელფასიდან სადაზღვევო ფონდისათვის ვუკავებთ გარკვეულ თანხას. ეს ფული ხმარდება თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების გამოკვლევას და მკურნალობას. ვფიქრობთ სამედიცინო დაზღვევის უფრო ფართო სისტემის შექმნასაც.

თუმცა ჯანდაცვის სისტემაში რეფორმა ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს. გაკეთდა ძალზე დიდი საქმე — ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებები ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლებულია. ამ ფაქტის გაგება და შეფასება შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც აქვს სამეურნეო ანგარიშზე მუშაობის გამოცდილება. ჩვენ ამ ცოტა ხნის წინათ, შემოსავლის თითქმის 80 პროცენტს სხვადასხვა ბეგარის სახით ვიხდიდით. ახლა ეს თანხა შესაძლებელია მთლიანად საქმის განვითარებას და გაფართოებას მოხმარდეს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ყოველი კონკრეტული დაწესებულებისათვის, ყველაზე მისაღები სამუშაო სტილის შერჩევის სრულ თავისუფლებას იძლევა. საქმე, არჩევანი ჩვენზეა.

— ხალხზე რას გვეტყვით, ახლა ხომ კადრების შემცირებები ყველგან მიმდინარეობს?

— ამ შემთხვევაში ძირითად როლს მედმუშაკთა პროფესიონალიზმი გადაწყვეტს. მხოლოდ კონკურენციის პირობებში გაირკვევა, ვის რა შეუძლია. ავადმყოფი თავად აირჩევს მკურნალს, ის ცუდ ექიმთან არ მივა. ხელმძღვანელებიც სამუშაოდ აღარ მიიღებენ არაკვალიფიციურ მუშაკებს.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა ვუყოთ ახალგაზრდა სპეციალისტებს, ისინი ხომ ჯერ ნაკლებად კვალიფიციური და ნამდვილად არაპროფესიონალები არიან? მათ არ ეყოლებათ ავადმყოფები, შესაბამისად არ ექნებათ ანაზღაურება?

— მართალია, ცხოვრება ძალზე გამკაცრდა, მაგრამ განა ჩვენ რომ ახალგაზრდები ვიყავით, დიდი ხელფასები გვქონდა? ვსწავლობდით, ვშრომობდით. ასე იქნება ახლაც. შეუძლებელია, ყველაფერი ერთბაშად მიიღოთ, პრაქტიკა მოიტანს გამოცდილებას და იქნებიან პაციენტებიც. ექიმობა არ არის უბრალო პროფესია. ეს დიდი ტვირთია და ძალზე მძიმე შრომაა, ხოლო, ვინც მედიცინაში მხოლოდ შემოსავალს დაეძებს, ალბათ, ამ ტვირთს ნებაყოფლობით აღარ აჰკიდებს.

დასრულდა მშვიდი ცხოვრება. ჩვენ მოვხვდით ჩვენთვის უჩვეულო ეპოქაში — საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თანაც ყველაზე მკაცრ, უმოწყალო კაპიტალიზმში, მისი განვითარების საწყისს ეტაპზე. ცივილიზებულმა ქვეყნებმა ეს სტადია დიდი ხანია გაიარეს. ჩვენ კი, მხოლოდ დღეს გვაიძულა შიმშილმა თავი და ხელი გაგვენძრია.

ჩემი გამოცდილებიდან კიდევ ერთი რჩევა მინდა მივცე ჩვენს ახალგაზრდობას, რომ იარსებო, უნდა თავდაუზოგავად იშრომო. ხვალ რომ დივიდენდები მიიღო, კაპიტალი დღეს უნდა დააბანდო, ამას დრო სჭირდება. წინ ყურებაც დიდი ნიჭია.

ამას ამბობს მეცნიერი, რომელმაც თავისი ნიჭით, თავისი შრომით მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი, საქართველოში შექმნა უნიკალური კლინიკო-სადიაგნოსტიკო ცენტრი — კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ყოველდღიურად უამრავი ხალხი დადის, ახლა ავადმყოფებს ზუსტი დიაგნოზის დასასმელად აღარ სჭირდებათ მოსკოვსა თუ საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში წასვლა. აქვე, თბილისში აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მიერ დაარსებულ კვლევით ცენტრში შეუძლიათ მიიღონ ზუსტი დიაგნოზის პასუხი და იმკურნალონ კიდეც. მით უმეტეს, რომ სულ მალე ადამიანთა სამსახურში ჩადგება ულტრათანამედროვე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი, რომლის მსგავსი სიმძლავრითა და შესაძლებლობებით არ დგას 2.000 კილომეტრი რადიუსის ფარგლებში.

ლარისა ხუგულური.

სხვა გაზეთებიდან

ძლიერი თავისტკივილი

დიდი შეცდომა იქნებოდა რაიმე სესხი მიგვეცა რუსებისათვის პრეზიდენტის ივნისის არჩევნებამდე. არავინ იცის, როგორია ახლა რუსეთის ეკონომიკის პოლიტიკა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ კრედიტმა მოგვცეს სერიოზულად დასუსტებულ რუსეთის ადმინისტრაციაზე ზემოქმედების რაღაც რეალური ბერკეტი.

ჯეფრი საქსი,

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მთავრობის ყოფილი მრჩეველი.

რუსეთის ახლანდელი სიტუაცია არ შეიძლება შევადაროთ იმას, რომელიც არსებობდა 1992 წლის დეკემბერში, როდესაც ელცინმა ცენტრისტი ვიქტორ ჩერნომირდინი დანიშნა პრემიერ-მინისტრად რადიკალ ეგორ გაიდარის ნაცვლად. მაშინ ეს კომპრომისი იყო. ახლა კი მსგავსი არაფერია. შეღავათებზე მიდის მხოლოდ ელცინი და ძნელი სათქმელია, სად გაჩერდება. ეს არ არის ისეთი სიტუაცია, როდესაც შეიძლება რუსეთს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი სესხი მიეცეს.

ანდერს ოსლუნდი,

ვაშინგტონის საყოველთაო მშვიდობის ხელშემწყობი კარნეგის ფონდის თანამშრომელი, რუსეთის მთავრობის ყოფილი მრჩეველი.

თუ ღვთის ნება იქნება და ჯანმრთელობა არ დაალალატებს, ბორის ელცინი ალბათ კენჭს იყრის რუსეთის პრეზიდენტის მომავალ ივნისის არჩევნებში. ყველა კრემლოლოგის აზრით, ასეთი დასკვნის გამოსატანად არ არის საჭირო ველოდოთ თებერვლის შუა რიცხვებს, როდესაც მიხეილ გორბაჩოვის მემკვიდრემ უნდა გამოაცხადოს, წამოაყენებს თუ არა თავის კანდიდატურას. მთელი მისი მოქმედება დეკემბრის პარლამენტის არჩევნებიდან, რომელიც „წითელ-მიხაკისფერთა" უპრეცედენტო წარმატებით აღინიშნა, სწორედ რომ მოწმობს განზრახვას დარჩეს ხელისუფლების სათავეში. როგორც სათათბიროს ახალმა თავმჯდომარემ კომუნისტმა გენადი სელეზნიოვმა განაცხადა, „პრეზიდენტი ჩვენს პოლიტიკას ახორციელებს. ოფიციალურად იგი ამბობს, რომ ყურს არ გვიგდებს, მაგრამ პრაქტიკულად სწორედ ამას აკეთებს".

ამხანაგი სელეზნიოვი მართალია, როდესაც შეშფოთებას გამოთქვამს. ბორის ელცინი ნამდვილად ცდილობს გამოაცალოს ფეხქვეშ ნიადაგი არა მარტო კომუნისტებს, არამედ აგრეთვე ვლადიმერ ჟირინოვსკის ულტრანაციონალისტებს როგორც ჩეჩნეთში, ისე მოსკოვში. დეკემბრიდან ჟირინოვსკი და კომპარტიის ლიდერი გენადი ზიუგანოვი პრეზიდენტს ორი რეფორმატორის თავებს თხოვდნენ. ელცინმა გულუხვობა გამოიჩინა და უკვე სამი მისცა: ანდრია კოზირევი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში რომ შეცვალა წმიდა წყლის მეაპარატემ ევგენი პრიმაკოვმა, რომელიც დასავლეთთან კონფრონტაციის კატეგორიებით აზროვნებს და ესწრაფვის ურთიერთობის გაუმჯობესებას ჩინეთთან, ჩრდილოეთ კორეასთან, ერაყთან და თვით ირანთან; ანატოლი ჩუბაისი, რომელიც მთელი ეს წლები პასუხს აგებდა პრივატიზაციის პროგრამისათვის და რომლის მემკვიდრემ ვლადიმერ კაზანიკოვმა კვლავ უნდა აამოქმედოს ფულის საბეჭდი დაზგა, რათა დაეხმაროს ყველა არარენტაბელურ სამრეწველო საწარმოს და შექმნას რამდენიმე თვით შთაბეჭდილება, თითქოს მთავრობამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი სოციალურ სფეროს; და, ბოლოს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მეთაური სერგი ფილატოვი, რომელიც შეცვალა ნიკოლოზ ეგოროვმა, შთამომავლობით კაზაკმა, გადამწყვეტი როლი რომ შეასრულა ჩეჩნეთის ამბების საქმეში ჩარევის დროს 1994 წლის დეკემბერში, როდესაც ეროვნებათა საქმეთა მინისტრი იყო. მაშინ ეგოროვი ჩეჩნეთის კატასტროფის ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ მიიჩნიეს და გაწირეს რამდენიმე თვის შემდეგ, ახლა კი კვლავ დანიშნეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოსტზე.



საოცარი მეტამორფოზა. „ეკონომისტი". ლონდონი.

არის რისკი, რომ ეს სულ ცოტა კიდევ რამდენიმე თვეს გასტანს. და არა მარტო ჩეჩენ ბოევიკთა ნებით, რომლებსაც დღეს განსაკუთრებით მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ და „გაიინტერნაციონალურონ" ბრძოლა, მათ შორის, მიმართონ ტერორისტულ აქტებს, არამედ, აგრეთვე, ბორის ელცინის ნებით, რომელიც ახლა ყოველნაირად ცდილობს აიმაღლოს პრესტიჟი — იარაღის ძალით დააშოშმინოს კავკასიის ყველაზე ამბოხი ხალხი. პერვომაისკოეს მძიმე ოთხდღიანი შტურმის, რბილად რომ ვთქვათ, წინააღმდეგობრივი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ამ საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს და მას ახალი საფრთხე მოელის.

ბორის ელცინის კურსის შეცვლა იმ დროს, როდესაც მისი პოპულარობა ყველაზე დაბალ წერტილამდე დაეცა, ტელევიზიის კამერების წინ თავდაჯერებული განცხადებების მიუხედავად (ანდა, შესაძლოა, სწორედ მათი წყალობით) სულაც არ არის წარმატების გარანტია. ვერაფერი ვერ მისცემს ელცინს იმის გარანტიას, რომ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში გავა და არ გაუსწრებენ ისეთი კანდიდატები, როგორებიც არიან ზიუგანოვი, ჟირინოვსკი თუ გენერალი ლებედი, დნესტრისპირეთის ყოფილი „პროკონსული", რომლის პოპულარობასაც აშკარად ჯეროვნად არ აფასებენ. ამის გარანტიას ვერ მისცემს ვერც ორთა კავშირი, რუსეთის ორი ყველაზე გავლენიანი „კლანის" მეთაურებისა — მოსკოვის მერის იური ლუჟკოვისა, რომელმაც ერთობ დროულად დაუჭირა მხარი „ჩეჩენ ბანდიტთა" განადგურებას, და პირველი ვიცე-პრემიერის ოლეგ სოსკოვეცისა, რომელიც კონტროლს უწევს უშიშროებისა და სამხედრო მრეწველობის ლობებს. ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა: როგორიც უნდა იყოს საბოლოო შედეგი, ბორის ელცინის მოქმედების ეს გადახრა მძიმე დაღს დაასვამს რუსეთის მომავალს და გვარიანად აატკიებს თავს დასავლელ ხელმძღვანელებს.

ჟაკ ამალრიკი,
გაზ. „ლიბერასიონი",
პარიზი.

პოზიცია

შეჯერების გზით

საადგილმამულო ურთიერთობათა მართვის კონცეფცია

რეფორმის გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს. შედეგიც შესაფერისი მივიღეთ: ქართული სოფელი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ყოფნა-არყოფნის ეს გარემოება და დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი:

1. შესაბამის კანონპროექტთა გულდასმით განხილვისა და მიღების გზით განისაზღვროს დასახლებათა და უპირველეს ყოვლისა, სოფლის სტატუსი.

2. შესაძლებლობის ფარგლებში აღდგეს დასახლებათა ეროვნული სახელწოდებანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრები. მოხდეს თითოეული სოფლის, დაბის და ქალაქის საზღვართა გამიჯვნა-დასამანება.

3. ქვეყნის სწორად მართვის მიზნით, დასახლებათა შიგნით უნდა განისაზღვროს კომლისა და ოჯახის სტატუსი, რომლის საფუძველიც მიწას სოფლის თვითმმართველობა გაანაწილებს.

4. ქართული ტრადიციული მმართველობის სისტემის და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების სრული გათვალისწინებით ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ქვეყნის მართვა „ქვემოდან" დაიწყოს, ცენტრალური ხელისუფლებისა და პერიფერიების ინტერესთა ჰარმონიული შეწონასწორებით.

5. მართვის ეს ფორმა საქართველოში უძველესი დროიდან მოქმედებდა და სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებდა. როცა სამეფო ხელისუფლება, გარეშე ან შინაური უხეში ძალის ჩარევით, ხალხს მოწყდებოდა, ქვეყანა მძაფრ კრიზისში ვარდებოდა და გაჭირვებას თავს ისევე ადგილებისა და ცენტრის ინტერესთა შერწყმა-შეხამებით აღწევდა.

6. პარლამენტის ყველა უმთავრეს კომიტეტთან უნდა ამოქმედდნენ კანონით გათვალისწინებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომლებშიც კვალიფიციური მეცნიერ-სპეციალისტები გაერთიანდებიან. ისინი საჭიროებისა და პროფილის მიხედვით ადგილებზე ჩავლენ და სამეცნიერო-საკონსულტაციო სამსახურს გასწევენ, რის შედეგადაც ბიუროკრატიული არაკომპეტენტურობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

7. დასახლებათა თვითმმართველობები მეცნიერ-კონსულტანტთა მონაწილეობით ჩაატარებენ მიწების, ნარგაობების და საერთოდ ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაცია-პასპორტიზაციას.

8. პრობლემები სამ ჯგუფად დაიყოფა: ადგილზე ადგილობრივი ძალებით და რესურსებით მოსაგვარებელი, მართვის საშუალო რგოლსა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად გადასაწყვეტი. ინიციატივა ქვემოდან წამოვა და სოფლის თუ სხვა დასახლებათა წარმომადგენლები საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

9. დასახლებათა სტატუსის განსაზღვრის შედეგად მიწა დასახლებებს საკუთრებაში გადაეცემა სათანადო გამიჯვნით და დასამანებით. ამით სასოფლო-სათემო და მუნიციპალური საკუთრება დაკანონდება.

10. ყოველ დასახლებაში მკაცრად განისაზღვრება მიწის კატეგორიები და საჭიროების დროს ერთი კატეგორიიდან მეორე კატეგორიაში მიწის გადაყვანას მთავრობის წარდგინებით პარლამენტი დაამტკიცებს.

11. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და საერთოდ ყოველი კატეგორიის მიწა, რომელსაც ზოგადეროვნული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება, ჯერჯერობით სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა დარჩეს.

12. ბუნებრივია, უნდა განვასხვაოთ იმპერიულ-ტოტალური და ეროვნული სახელმწიფო. პირველი მიწას იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე იყენებდა, მის ყიდვა-გაყიდვას კრძალავდა, რითაც სპეკულაციას და მექრთამეობას ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდა. ამას მოჰყვა ფარული, ჩრდილოვანი საკუთრების ფორმების აყვავება, რომელიც შორს დგას ნამდვილი საკუთრებისაგან. მემამულენი ეროვნულმა სახელმწიფომ უნდა შეარჩიოს, აღზარდოს და ერის ბურჯად აქციოს. სანამ ეს არ გაკეთებულა, მიწის უზენაეს მესაკუთრედ ეროვნული სახელმწიფო უნდა დარჩეს, რათა თვალისჩინივით გასაფრთხილებელი ადგილ-მამული შემთხვევით პირებს ხელთ არ ჩაუვარდეთ.

13. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი განსაზღვრავს მისი საკუთრებისა და დამუშავება-გამოყენების პროფილს. ვრცელი, მით უმეტეს, სახნავ-სათესის, ზვრების, ხილის ბაღების, ჩაისა და სხვა კულტურათა პლანტაციების დაქუცმაცება დაუშვებელია.

14. ამ მიწებზე მხოლოდ და მხოლოდ მსხვილი მეურნეობები უნდა ჩამოყალიბდეს. მეურნეობის ფორმა ისე უნდა შეირჩეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მშრომელთა სოციალური ინტერესები. ასევე გარანტირებული უნდა იყოს მაქსიმალური მოსავლიანობა, ნიადაგის დაცვა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

15. სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ერისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გაფლანგული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თანდათან უნდა განთავისუფლდნენ სხვა დანიშნულებით გამოყენებისაგან და დროულად უნდა აღდგეს მათი თავდაპირველი ფუნქცია — მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა.

16. საკარმიდამო განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის ერთობლიობაა. საკარმიდამო საქართველოში ყველგან, საბაღე ნაკვეთებთან ერთად, კერძო საკუთრებაში უნდა გადაეცეს, ოღონდ მათი განკარგვა-გასხვისება მკვიდრისა და მოსულის ტრადიციული ურთიერთდამოკიდებულებით, საადგილმამულო ბანკის მეშვეობით უნდა მოხდეს.

17. საკომლო სასოფლო-სამეურნეო მიწაა, რომელიც სასაქონლო პროდუქციას იძლევა. თუ მას სახელმწიფოებრივი, სტრატეგიული დანიშნულება არა აქვს, შეიძლება მისი გასხვისება, ისევე როგორც საკარმიდამოსი, ოღონდ ჯერ საკარმიდამო და საკომლო მესაკუთრეს კანონიერ სარგებლობაში უნდა დაუმტკიცდეს.

18. საერთოდ, გარდამავალ პერიოდში მიწის ყიდვა-გაყიდვისაგან თავი უნდა შევიკავოთ, რადგან არ ვიცით მისი ნამდვილი ფასი. არ გვყავს კანონიერი მესაკუთრე, არ განმტკიცებულა ეროვნული ვალუტა და არის რეალური საფრთხე, შთამომავლობით მიღებული ადგილ-მამულის უცხოთა ხელში გადასვლისა, რაც უკვე მოხდა გასული საუკუნის დამლევს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

19. ისტორიის მწარე გაკვეთილი რომ არ განმეორდეს, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ჯერჯერობით ხელს ნუ ვახლებთ. მით უმეტეს, რომ მსოფლიოში არის იმის მრავალი მაგალითი, რომ მიწით ვაჭრობის გარეშე შესძლეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. როგორც მსოფლიო ბანკის მიერ ჩვენთვის გამოგზავნილ ერთ-ერთ მემორანდუმში ვკითხულობთ, მიწის კერძო საკუთრებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან იჯარას.

20. იჯარის ფორმების რეგულირება და მათ შორის, ძველქართული, ტრადიციული სანამენო იჯარა მოგვცემს შესაძლებლობას საქართველოში მიწის კერძო საკუთრება უმტკივნეულოდ აღვადგინოთ. ეს არის პროცესი, რომელიც ნორმალურმა სახელმწიფომ უნდა წარმართოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მიწის მესაკუთრეთა ჭეშმარიტი ფენა ჩამოყალიბდეს.

21. ბოლოს და ბოლოს, მშრომელთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება უნდა ახდეს და მიწა მიწის მუშას შეუზღუდავ საკუთრებაში მიეცეს, მაგრამ კატაკლიზმებით აღსავსე გარდამავალ პერიოდში, როცა ეროვნული ფასეულობანი ჩალის ფასად იყიდება, ამ პროცესში მიწის ჩართვა ფრიად სახიფათოა.

22. მეცნიერებამ და პრაქტიკამ იცის მიწის შეზღუდული საკუთრებაც, რითაც მიწის მუშაკს არაფერი უშავდება, ხოლო ეროვნული საგანძური — მიწა შთამომავლობას ენახება. გაივლის ხანი და ისევე როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოშიც მიწის სასაქონლო მუშაკობას მოსახლეობის ორი-სამი პროცენტიღა შეარჩება, ხოლო ძირითადი ეროვნული სიმდიდრე, მიწა მარადჟამს ხელშეუხებელი დარჩება.

ამქვეყნიურ სამოთხეთა შორის საქართველოცაა აღრიცხული (ვიქტორ ნოზაძე). სანამ დედამიწა არსებობს, საქართველოს სამოთხე ქართველებს უნდა ეკუთვნოდეს.

ლევან ფრუიძე.

რედაქციისაგან: აგრარული რეფორმა საქართველოში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რაც ხაზგასმით აღნიშნა კიდეც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის საპროგრამო გამოსვლაში.

წინა პარლამენტმა ისე დაამთავრა მუშაობა, რომ მიწის კანონის მიღება ვერ შეძლო. შედეგები სავალალოა. ამის განმაპირობებელ მრავალ მიზეზს შორის უმთავრესია კონცეფციების შეუთანხმებლობა. და სწორედ ამის გათვალისწინებით განხილვის მიზნით, ვბეჭდავთ ერთ-ერთ კონცეფციას.

რედაქცია კვლავაც შეეცდება ყველა ჯანსაღ აზრს დაუთმოს გაზეთის ფურცლები, რათა განსხვავებულ შეხედულებათა შეჯერების გზით სწორი გადაწყვეტილების მიღება გაადვილდეს და ჩვენს აღმასრულებელ ხელისუფლებას აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა გაუიოლდეს.

ახალი წიგნები

დავით კლდიაშვილის ორტომეული



გამომცემლობა „საქართველომ" დასტამბა დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის თხზულებათა ორტომეული.

ქაღალდის დეფიციტის გამო ორტომეული დაისტამბა შეზღუდული ტირაჟით. იგი სულ მალე გადაიქცევა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

გამომცემლობა მიმართავს საშუალო სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობას, აგრეთვე დაინტერესებულ პირებს დროულად მიაკითხონ საფირმო მაღაზიას.

მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5.



ვირთხის წელიწადს ერიდეთ საკუთარ თავს

მკითხველს თავის რჩევებს სთავაზობს მაგთა საერთაშორისო კლუბის წევრი ბრენატი. მართალია, იგი თავის თავზე ასე ლაპარაკობს: „მე შეიძლება ვიწოდებოდე მაგად და ექსტრასენსად, მაგრამ სანამ ქვეყანაში ასეთი სპეციალობები არ არსებობს, ასეთ წოდებას ვერ დავიჩემებ. მე უფრო თავისუფალი შემოქმედი მეთქმის და რაც ვიცი, ვიცი" მაშ ასე, ბრენატი — 1996 წლის შესახებ.

— ეს წელიწადი, რომელიც ვირთხის ნიშნით მიმდინარეობს, უფრო მეტად ყველა ჩვენგანის გაძლება-გადარჩენის წელიწადი იქნება. ვირთხები ამას დიდებულად აკეთებენ, და ჩვენ უბრალოდ მოვალენი ვართ ვისწავლოთ ვირთაგვებისაგან გაძლება. ახალი წლის ერთ-ერთი დევიზია — თითოეული პასუხს აგებს უწინარესად საკუთარი თავისათვის, და არ უნდა ელოდოს სხვის მითითებებს თუ სასწაულს.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული ისეთი დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რომელსაც გამოხატავს ანდაზა: „გიჟი ქორწილში შეუშვი, ჩემს სახლს ეს სჯობიაო". ალბათ, მხოლოდ ამით თუ აიხსნება ის ფაქტი, რომ კარგ ცხოვრებას მოწადინებული ადამიანები ამ მიზნის მიღწევის საკმაოდ უცნაურ გზებს ირჩევენ. ისინი აგროვებენ ნივთებს, იდეებს, ფულს და მიემგზავრებიან ან მოსკოვში, ან რომელიმე სხვა დიდ ქალაქში იმ იმედით, რომ იქ იპოვიან თვითრეალიზაციის ასპარეზს. მაგრამ, როგორც წესი, წარმატების ნაცვლად მათ მოელით მწარე იმედგაცრუება და სხვადასხვა მიზეზის გამო ზოგჯერ წლობით რჩებიან უცხო მეგაპოლისებში. ამიტომ **პირველი,** რასაც ვუსურვებდი ყველა მკითხველს: ნუ ეცდებით, რადაც უნდა დაგიჯდეთ, გაიმეოროთ დარტანიანის გზა, რომელმაც პარიზი დაიპყრო, იმიტომ, რომ ოდითგან არის ცნობილი — ნამდვილი და წარმატებული სამუშაო შეგიძლიათ დაიწყოთ მხოლოდ იქ, სადაც ფესვი გაქვთ გადგმული. ხოლო თუ კი თქვენ მაინც გადაწყვეტთ დედაქალაქის დაპყრობას, დაფიქრდით, რა შეგიძლიათ თქვენ, რისი პატრონი ხართ. მაშ ასე, თქვენ გაქვთ ნათელი გონება და მარჯვე ხელი? კი მაგრამ, მაშინ, რაღა სხვაგან მიდიხართ? განა იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ვერ გამოიყენებთ მათ?

რჩევა **მეორე:** ნუ ელით სასწაულებს და ნუ ეძებთ დამნაშავეებს სხვისი სახით. თუ თქვენ გაქვთ საამისოდ დრო და ძალები, მაშასადამე, თქვენ ჯერ ისე მაგრად არ გაგჭირვებიათ, რომ გაგჩენოდათ მუშაობის და სამუშაოს ძიების ნამდვილი ჟინი. წარმოიდგინეთ, რომ უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდით. განა იქ, იმისათვის, რომ გადარჩეთ, დაიწყებთ ლოდინს, ვინ გირჩევთ რაიმეს, ვინ გიჩვენებთ გზას, როგორ დააღწიოთ თავი ამ კუნძულს?

მესამე რჩევა მეორედან გამომდინარეობს: ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ ვინმეს უსათუოდ რაღაც უნდა დაუმტკიცოთ. ნუ წაეპოტინებით ჰალსტუხს და კოსტიუმს, თუ არა გაქვთ საჭირო მომზადება. თუ თქვენ რაღაც სამუშაოს არ განდობენ იმიტომ, რომ ობიექტურად ვერ გაართმევთ თავს, არ ღირს მკერდში მჯიღის ცემა და მაინცდამაინც ამ სამუშაოს გულისათვის თავის მოკვლა. არის უამრავი სხვა სამუშაო, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ განათლებას ან თვისებებს, რომლებიც თქვენ არ გაგაჩნიათ, მაგალითად — ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება.

რჩევა მეოთხე: ნუ ცდილობთ, რომ გაექცეთ ცხოვრებას და, მით უმეტეს, სიცოცხლეს. პრინციპი: „კარგად გამოიძინე და ყველაფერი გაგივლის" თქვენ ვერ გიშველით. თქვენ გამოიძინებთ, მაგრამ პრობლემა მაინც დარჩება.

რჩევა მეხუთე: იყავით თქვენი სიტყვის პატრონი საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების წინაშე.

დაბოლოს, **ზოგადი რჩევა:** ახალ წელიწადს ერიდეთ უწინარეს ყოვლისა საკუთარ თავს. არის სამი თვისება, რომლებსაც კაცობრიობა ყოველთვის ძალზე უარყოფითად ეკიდებოდა. ეს არის შურისძიება, ეჭვიანობა და, საკუთრივ, შური. მე ვფიქრობ, ყველას გეყოფათ საიმისო სიბრძნე, რომ არ დაუშვათ 1996 წელს საზოგადოებაში ამ თვისებების შემდგომი განვითარება. და მაშინ გაძლება-გადარჩენის წელიწადი თანდათან გარდაიქმნება სრულფასოვან წლად.

გაზ. „არგუმენტი ი ფაქტი"
№ 4.

სხვა გაზეთებიდან

ინფორმაცია

„ჩვენ გვაქვს პრეტენზია შავი ზღვის ფლოტზე“

ეს განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა 12 თებერვალს, საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მოსკოვის სამიტის გადაწყვეტილებათა რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ჟურნალისტთა კითხვაზე, თუ რა ძალებით განხორციელდება შავი ზღვის აკვატორიის გაძლიერებული კონტროლი მოსკოვის მორიგებათა უზრუნველყოფისათვის, მინისტრმა უპასუხა, რომ ჯერჯერობით კონტროლის გამკაცრება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის სასაზღვრო ჯარების დახმარებით.

„მაგრამ, — ხაზგასმით აღნიშნა ი. მენაღარიშვილმა, — საქართველოს შეუძლია და კიდევაც განაცხადებს პრეტენზიას თავის წილზე შავი ზღვის ფლოტის განაწილების დროს“. — საქართველოს სახელმწიფოს პასიურობა ამ საკითხში თავის დროზე გააკრიტიკა შავი ზღვის ფლოტის ყოფილმა სარდალმა ადმირალმა ბალტინმა, თქვა მინისტრმა. და მართლაც, ტრადიციულად საზღვაო სახელმწიფოს — საქართველოს ზღვის სანაპირო მარტო საკურორტო ზონად კი არა, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფაქტორად და უსაფრთხოების ფაქტორადაც მიაჩნია. საქართველოს წვლილი შავი ზღვის ფლოტის ჩამოყალიბებაში უდიდესია, პრაქტიკულად მისი ისტორიის მთელ მანძილზე. მეორე მსოფლიო ომის წლებში კი ხომალდები შავ ზღვაში ფუნქციონირებდნენ პრაქტიკულად მხოლოდ საქართველოდან. რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა გამოთქვა რწმენა, რომ, როგორც რუსეთი, ისე უკრაინა, გაგებით მოეკიდებიან საქართველოს პოზიციას.

ჟურნალისტებს დაწვრილებით გააცნეს სოხუმიდან თურქეთში თურქეთის მშრალტვირთიანი გემით „თამხის გიუნერით“ აფხაზური ეროვნების რამდენიმე ათეული მოქალაქის უკანონო გასვლის ფაქტი. როგორც გაზეთი „საბაჰი“ წერდა, მშრალტვირთიანი გემის კაპიტანმა განაცხადა: საქართველოს ათი მოქალაქის გემზე აყვანა აფხაზეთიდან სამშობლოში მიმავალ 28 თურქთან ერთად, სოხუმში, აიძულეს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებმა. გაზეთი აღნიშნავს, რომ, ისევე როგორც უნივერსიტეტის თურქმა სტუდენტებმა, აფხაზებმაც გადაწყვიტეს დაეტოვებინათ აფხაზეთი იქ შექმნილი ცხოვრების მძიმე პირობების გამო. ზონგულდაკის ნავსადგურში (თურქეთი) დოკუმენტების შესაბამისი შემოწმების შემდეგ, თურქ მოქალაქეებს ხმელეთზე ჩასვლის ნება მისცეს. საქართველოს აფხაზური ეროვნების ათ მოქალაქეს კი, რომელთა პასპორტები წესრიგში არ იყო, ეკრძალება ხომალდის დატოვება. განმარტა რა მომხდარი ამბავი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფოს პოზიცია ამ ადამიანთა მიმართ ერთმნიშვნელოვანია. ისინი საქართველოს მოქალაქენი არიან, და საქართველო მზად არის დაეხმაროს მათ სამშობლოში დასაბრუნებლად.

საქინფორმი.

ფიცს სდებენ

ლაგოდეხის სასაზღვრო ჯარების სასწავლო ცენტრში გაიმართა ახალწვეულთა ფიცის მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სასაზღვრო ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი ვალერი ჩხეიძე და უშიშროების საბჭოს წევრი, ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე.

როგორც გენერალ-მაიორმა ვალერი ჩხეიძემ აღნიშნა, ამგვარი დათვალიერება ხელს შეუწყობს ორ უწყებას შორის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის გაღრმავებას, იგი მომავალში სისტემატურ ხასიათს მიიღებს.

მე თუ ვიხდი გადასახადს, შენ რას უცდი, ძმობილო?

ძმობილი ელოდება პოლიციას

ერთ ძალიან ცნობილ დისიდენტ მწერალს ერთმა გაზეთმა სთხოვა ზნეობრივი სიწმინდის შესახებ რედაქციისთვის მასალა მიეწოდებინა, ერთგვარი მორალური კოდექსი თუ რჩევა თანამემამულეთა დასამოძღვრავად.

იმ ცნობილ მწერალს აუღია და გაუგზავნია რუსული ანდაზები, რომელთაც მთელი ცხოვრება აგროვებდა, იწერდა: ამაზე უკეთესს ვერაფერს შემოგთავაზებთო.

ხალხური სიბრძნის ამ თავისებურ კრებულში არის ასეთი ანდაზაც: თუ პოვნა იცი, დაკარგვაც იცოდეო.

დაიმახსოვრეთ.

* * *

რა აქვს საერთო ნავთს, ხორცსა და ლითონის ნაგლინს? წელიწადი რომ იფიქროთ, ვერ მოიფიქრებთ.

ან, რა ვიცი, ჩემი არ იყოს, ეგებ თქვენც უცებ მონახოთ ის საერთო პრინციპი, რომელზეც საბაზრო ეკონომიკური განვითარების ეს სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი აღმოცენდა, აყვავდა და გაიფურჩქნა?

არ გაწვალებთ, პირდაპირ მოგახსენებთ — ამ სამ ვეშაპს უკან მდგომ ადამიანებს მიზანი აქვთ ერთი, მისწრაფება, რომლის რეალიზაციის ფორმულა ასეთია: ჩემი — მე, სხვისიც — მე, და ქვეყანას გინდ ცეცხლი წაკიდებია, გინდ მეწყერს წაუღია.

ჩვენ მაინც ცეცხლით დავიწყოთ, ანუ ნავთით.

სულ ორიოდ კვირის წინათ, ნავთი გაქრა საქართველოში. ასე ისურვა ნავთობის მაფიამ.

ჭორია, ალბათ, მაგრამ ამბობენ, რომ მაინცა და მაინც იმ დღეებში ნავთის ხელქმნილი მდინარე მრავალბორბლიანი რკინის ცილინდრული კალაპოტით მეზობელ ქვეყანაში გაგორდა და გაედინა.

ან არ გაედინა.

მაგრამ ნავთი ჩვენს ქვეყანაში აორთქლდა.

გავწვალდით მაშინ და რა გავწვალდით: დავრბოდით, ვეძებდით და სადაც ვიპოვიდით სამოთხის კარს — ნავთით სავსე ცისტერნას, იქ იწყებოდა ძარცვა და ყაჩაღობა. ამოგვიტრიალეს ჯიბეები მენავთეებმა, ლიტრი ლარამდე გააძვირეს და უკანასკნელ თეთრამდე გაგვფცქვნეს. ესაა ხელობა მათი (სხვისაც), სხვა არაფერი იციან.

არც სურთ, რომ იცოდნენ.

თავისი ხომ გაინაღდეს!

უტრიალეთ, რამდენიც გნებავთ, გვარ-ჯილაგი. არ რეაგირებენ, რადგან ამ ბუნებრივი რეაქციის უნარი მხოლოდ პატიოსან კაცებს შერჩათ. ისინი პითონებივით არიან, გაძღებიან, გაოგნდებიან, გაილურსებიან როგორც ნარკომანები „კაიფში“, და ატრიალეთ რამდენიც გსურთ და როგორადაც გინდათ.

თქვენ აგინებთ, ის ფიქრობს ამ სიტუაციიდან კიდევ რა სარგებელი ნახოს. და ნახულობს, უნიკალურ ბიზნეს-ექსპერიმენტს ატარებს — ერთლარიან ნავთში 35 თეთრად ღირებულ ბენზინს ურევს, და ფეთქდება ნავთქურები, როგორც ჩვენი, დაბოღმილი გულები და გვეკიდება ცეცხლი, როგორც ბაზარს, რომელსაც ახლა საკოლმეურნეოს ნაცვლად თავისუფალი ჰქვია.

დადგება გამწარებული ობივატელი შუაგულ ბაზარში და ხელისუფლებას დაუწყებს ხმამაღლა გინებას.

არავინ არაფერს ეტყვის, რადგან ვინც მართლა ავი სიტყვით არის მოსახსენებელი, ვისაც, როგორც ქურდბაცაცას, ხელებში უნდა ჩასცხო, აქვე, მის გვერდით მოკალათებულა და ვაჭრობს.

ვაჭრობს და ატყუებს.

ობივატელი კი არაფერს ეტყვის, რადგან ასეთია ობივატელის ბუნება.

მაგრამ ეს სხვა თემაა, ჩვენ ხომ ხორცზე უნდა გველაპარაკა.

მაშ, ხორცის რიგს მივაკითხოთ, ლოყებლაჟღაჟა ხორცის გამყიდველებს (გადამყიდველებს) დეზერტირების ბაზარში.

— კარგი ხორცი, ახალი ხორცი, იაფად! — შემოგძახებენ არანაკლებ ჩათქვირებული ყასბების ნაჯახების ხათქა-ხუთქის მუსიკალურ ფონზე.

ჩვენ, ობივატელები, მე და თქვენ, ავუყვებით და ჩამოვუყვებით ხორცის რიგებს, ჩავუვლით და ავუვლით და გაგვიძნელდება შევეკითხოთ, მაინც რა ღირს მათი ნაჭრები იაფი ხორცი?

გვერიდება იმიტომ, რომ შემოდგომის აზნაურების თავმოყვარეობა გვაწვალებს კუდის რიკამდე გატყავებულებს.

იმისთვის, რაც იაფია, ჩემთვის ძვირია და რატომ უნდა ვაჩვენო იმ მამაცხონებულს, რომ ეს მართლა ასეა? ისე დიდგულად უჭირავს თავი, საქმეა, მამჩნევს კი საერთოდ პატარა ჭიალუას ფულისა და ხორცის ეს ტიტანი, კაცობრიობის ეს იმედი და მომავლის საიმედო ბურჯი?

ამიტომ მირჩევნია ამაყად ავუარ-ჩავუარო: თხა-თხაზე ნაკლები აგერ ამ დახლებზე დევს ნაჭერ-ნაჭერ აჭრილი.

მაგრამ ბაზარი მოკიონის ადგილი არ არის. გაჩერდები ხომ ბოლოს და ბოლოს? ფასზეც შეთანხმდები, უფრო ზუსტად, მორჩილად დათანხმდები ულტიმატუმს — თეთრდაუკლებელ 4 ლარს, დანდობილად აგიწონის და სახლშიც მიიტან, შენ რომ გგონია, იმ 2 კილოგრამს და შენს მიერ არჩეულ ხორცს. ასე გგონია! იმ ნაჭერს, შენ რომ არჩიე, ასგრამიან ქაღალდში რომ გაგიხვევს გამყიდველი და სასწორზე დაადებს, აი ამ მოკლე გზაზე ხელის ელვისებური მოძრაობით გაცვლის ქაღალდში ხორცის ისეთ ნაჭერს შემოგიგდებს, ძაღლიც რომ არ შეჭამს.

შენ კი გგონია, რომ კარგად ივაჭრე.

ესეც ხორცის ნოველა.

და გადავიდეთ ახლა ლითონის ნაგლინზე. ეს, ჩემო ბატონებო, სხვა მასშტაბია და სხვა მაღალი რეგისტრი!

იყო და არა იყო რა, კარგადაც იყო საზოგადოება „ცირეკიძე და კომპანია“. იყო კარგად მანამ, სანამ გურიის რეგიონის საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა არ დააკავეს 23 სატვირთო ავტომანქანა 485 ტონა ლითონის ნაგლინით, რომელიც „ცირეკიძე ენდ კომპანის“ თურქეთში გაჰქონდა.

ეს მოხდა 28 იანვარს.

6 თებერვალს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა, რომ რუსთავის კომენდატურული საზოგადოება „ცირეკიძე და კომპანიის“ კომპლემენტარი თეიმურაზ ცირეკიძე, ადრე ნასამართლევი და იმავე საზოგადოების ბუღალტერი კობა ჯავახიშვილი ისეთივე ჯიბის ქურდები არიან, როგორებიც ზემოთ ნახსენები მეხორცე და მენავთე, ოღონდ დიდი მასშტაბისა — სახელმწიფო ჯიბის ქურდები.

სამაგიეროდ, რა ტერმინოლოგიური სიახლეებით დამშვენებულნი — კომენდატურული, კომპლემენტარი!

კომპლემენტის სახით უნდა ვუთხრათ, — ყოჩაღ, რაც მათ მოიმოქმედეს, ბევრი ვერ გააკეთებს. 1995 წელს მხოლოდ ერთ წელიწადში რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან ნისიად (!) გამოიტანეს 1.500 ტონა მრგვალი ლითონის ნაგლინი, გაყიდეს როგორც საქართველოში, ისე თურქეთში ტონა 120 აშშ დოლარად და აიღეს დიდი ფული, 1 მილიონ 800 ათასი აშშ დოლარი, რომელიც მთლიანად თავის და, ალბათ, სხვის ჯიბეში ჩადეს, სახელმწიფოსთვის მისაცემი ღერი მწვანეც აღარ დარჩათ, ან, უფრო ზუსტად, დამალეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი — 114.000 ლარი.

რა დიდი ამბავია? ხომ არ გაღარიბდა სახელმწიფო?

იმ თითქმის 2 მილიონი დოლარის პატრონებისთვის ეს 114 ათასი მართლაც არაფერია, ალბათ, მაგრამ რამდენი ასეთი კომპლემენტარი-პარაზიტი უნდა გამდიდროს სახელმწიფომ თავის და ჩვენს ხარჯზე?

ადგება მერე მავანი ექსპერტი-ეკონომისტი (რომლებიც დღეს საქართველოში ისე მომრავლდნენ, როგორც ერთ დროს ფეხბურთის ექსპერტები) და განაცხადებს: ეკონომიკური რეფორმა ფიქციაა, ბიუჯეტში ფული არ შედის, სოციალური სფერო არ ფინანსდება და არც კულტურის სფერო.

მერე შემთხვევით გაირკვევა, რომ ამ „ექსპერტს“ ის კომპლემენტარი (ან სხვა) ინახავს და ეკონომიკური რეფორმა ისე აინტერესებს, როგორც თქვენ მრგვალი ნაგლინის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები.

ახლა ცირეკიძე და ჯავახიშვილი კი არიან აყვანილი წინასწარ პატიმრობაში და ის 485 ტონა ნაგლინიც ამოღებულია, მაგრამ ვინ დათვლის ზარალს?

თუმცა, უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ალბათ, გამოძიება ბევრ საინტერესო დეტალს და პიროვნებას გამოავლენს და მრავალ კითხვათა შორის უპასუხებს იმ ერთს, ძალიან საინტერესოს, თუ რომელი ლამაზი თვალების გამო, თუ ვისი ღერი ულვაშის „თვალებით“ გაატანეს რუსთავის მეტალურგიული კომბინატიდან ნისიად 1.500 ტონა ლითონის ნაგლინი ცირეკიძეს და ჯავახიშვილს?

გამოძიებას, როგორც გვაცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს.

დაამთავრებენ და მოწიწებით ვთხოვთ, ჩვენს დაინტერესებულ მკითხველებს აცნობონ შედეგები.

მე თუ ვიხდი გადასახადს, ან არ ვიხდი, იმიტომ, რომ არა მაქვს, ისინი არ იხდიან, იმიტომ, რომ აქვთ და სურთ მეტი ჰქონდეთ.

არის ასეთი ლოგიკა.

ისე კი, გადაეხადათ გადასახდელი სახელმწიფოსათვის, თვითონაც შეირგებდნენ, სახელმწიფოსაც ასარგებლებდნენ.

თუ პოვნა იცი, დაკარგვაც უნდა იცოდეო.

ალთა გალთიძე.

სარედაქციო ფოსტიდან

მიწის გაყიდვა მძიმე შედეგს მოგვიტანს

საზოგადოებრივი აზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში საკმაოდ არიან ძალები, რომლებიც არ ითვალისწინებენ მიწის ყიდვა-გაყიდვის ისტორიული პროცესის მძიმე შედეგებს და ბრმად უჭერენ მხარს უცხოელთა მიერ ამ საქმეში ანგარებით შემოგდებულ კონცეფციას.

საზოგადოებას მიაჩნია, რომ პარლამენტი თუ მიიღებს მიწის ყიდვა-გაყიდვის კანონს, ამით სასიკვდილო განაჩენს გამოუტანს საქართველოს. ამ აზრს ალტერნატივა არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

საზოგადოება საჭიროდ თვლის მიწის კანონის მიღებისას გათვალისწინებული იქნას შემდეგი მოთხოვნები:

მიწა ქართველი ერის საკუთრებაა, რომელიც ყიდვა-გაყიდვის უფლების გარეშე სამუდამო მფლობელობაში გადაეცემა საქართველოს სახელმწიფოს და მის მოქალაქეებს; საქართველოს მოქალაქეების მუდმივ მფლობელობაში რჩება ის მიწები, რომლებიც მათ აქვთ ამჟამად საკარმიდამო და საბოსტნე ნაკვეთების სახით, ხოლო დანარჩენი მიწები სახელმწიფო მფლობელობაში დარჩება; მოქალაქეთა მფლობელობაში მყოფი მიწის რაოდენობა მთისა და მთისწინეთის რეგიონებში განისაზღვროს 1 ჰექტარამდე, ხოლო ბარის რეგიონებში — 0,5 ჰექტარამდე; სახელმწიფო და მოქალაქეები უფლებამოსილი არიან თავიანთ მფლობელობაში მყოფი მიწები მხოლოდ იჯარით გადასცენ საქართველოსა და უცხო ქვეყნების სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კერძო სტრუქტურებს, მათ მოქალაქეებს: სოფლის მოსახლეობის მუდმივ სარგებლობაში რჩება ბუნებრივი საძოვრები, სათიბები და სასოფლო ტყეები, მათი გამოყენების წესს შეიმუშავებს და აღასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობა.

საზოგადოება თხოვს პარლამენტის წევრებს, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შრომით კოლექტივებს, შრომისა და ომის ვეტერანებს, სტუდენტ ახალგაზრდობას, ყველა მოქალაქეს გაითავისონ ჩვენი გულისტკივილი და მხარი დაუჭირონ მიწის კანონის შესახებ საზოგადოების მიერ წამოყენებულ წინადადებებს.

საქართველოს ჯერ კიდევ აქვს პოტენციური შესაძლებლობები მატერიალური რესურსებისა თუ ინტელექტუალური ძალების მხრივ რომ სწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში თავი დააღწიოს კაბალურ პირობებს და საკუთარი საშუალებებით გადაწყვიტოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრობლემები.

საქართველოს სოციალური პროგრესის სამეცნიერო საზოგადოება.

როდემდე ველოდოთ?

პატივცემულო რედაქციავ!

შარშან, ნოემბერში თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა კანონი ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ ეს კანონი ამოქმედდეს მიღებისთანავე. გაზეთის 31 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა პრეზიდენტის განკარგულება ომის ვეტერანებს საახალწლოდ მიეცეთ დახმარება ერთი თვის პენსიის ოდენობით.

ჩვენ, ომის ვეტერანები დიდად კმაყოფილი ვართ საქართველოს მთავრობის, პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიერ ასეთი მზრუნველობის გამოჩენისათვის. ერთი სიტყვით, ომის ვეტერანები არა ვართ დავიწყებული და ყურადღებას იჩენენ ჩვენს მიმართ.

სამწუხაროდ, აღნიშნული კანონი ასპინძის რაიონში არ სრულდება. რაიონის ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელები, რომლებსაც ამ კანონისა და განკარგულების შესრულება ევალებათ, ელოდებიან შესაბამის სამინისტროდან წერილის ან განკარგულების მიღებას.

პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ, იქნებ ვინმემ გვიპასუხოს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები როდის დაუგზავნიან წერილებს და განკარგულებებს მათზე დაქვემდებარებულ რაიონულ ორგანიზაციებს, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ მიღებული კანონის შესრულებაზე და ერთი თვის პენსიის ოდენობით დახმარების გაცემაზე?

ასპინძის რაიონის ომის ვეტერანები:
ს. მამუკაშვილი, გ. ოქროპაძე, შ. ზიორბაძე, ნ. მელიქიძე და სხვ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
მთავარ რედაქტორს ბატონ
გ. ბოგიაშვილს

ბატონო გურამ!

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების „საერთაშორისო ინტერნაციონალურმა“ გამომცემლობამ გამოუშვა აკადემიკოს როინ მეტრეველის წიგნი „ჯორჯია“ („საქართველო“), რომლის ამერიკაში გამოცემაზე პასუხისმგებელი, ბატონ როინ მეტრეველთან შეთანხმებით, ვიყავი მე. ამდენად, ჩემს მიერ წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც დაიბეჭდა თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის მე-18 ნომერში, სადაც აღნიშნულია, რომ გ. ბაბუნაშვილი არის აგრეთვე, აღნიშნული წიგნის გამოცემის სპონსორი, არ შეესაბამება სინამდვილეს.

გ. გაგუნაშვილი.

ბავშვებს გადასცეს

ახლახან საექსპლოატაციოდ გადაცემული ჭიათურის საქალაქო საავადმყოფოს ახალი სამკურნალო კორპუსი, რომელიც მრავალი წელია შენდებოდა, აღდგენითი მკურნალობის ბავშვთა განყოფილება გახდა. პრივილეგირებულმა კლასმა, როგორც [illegible] ბავშვებს ვუწოდებთ, შესაბამისი უპირატესობა მიიღო. ახალი სამკურნალო აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით.

გაიზარდა ყოფილი „სპეცპოლიკლინიკის“ კონტინგენტიც. ახლა აქ უფასო სამედიცინო დახმარებას იღებენ მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთთან სამხედრო კონფლიქტის მონაწილენი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები.

საქინფორმი.

ისინი ოლიმპიადაზე გამოვლენ

ჩემპიონი ემზადება ნესტიან სარდაფში

ოლიმპიადაზე გამარჯვება მაინც სულ სხვაა! მსოფლიო ჩემპიონი ადრე თუ გვიან ექს-ჩემპიონად იქცევა, ოლიმპიური ჩემპიონი კი მუდამ ოლიმპიური ჩემპიონია. ეს ტიტული „ექსს“ არასოდეს წაიმძღვარებს. ყველაზე მეტად კი დასაფასებელია, როდესაც ამ წოდებას სუსტი სქესის წარმომადგენელი ფლობს, თანაც ისეთ ვაჟკაცურ სპორტის სახეობაში, როგორიც ტყვიის სროლაა, ალბათ მიმიხვდით, ვისზეც იქნება საუბარი.

ნინო სალუქვაძე... ნაზი, სუსტი აღნაგობის გოგონა, რომელიც 19 წლის ასაკში უკვე გაუგონარ შედეგებს აჩვენებდა. სეულის XXIV ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი, მსოფლიო რეკორდსმენი, მსოფლიო თასის გათამაშების არაერთგზის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი...

ახლა ნინოს ქართველი ქალისათვის უპირველესი მისია — დედობა აკისრია. ჰყავს წლინახევრის ნინიკო და მეუღლე — გოჩა მაჭავარიანი, რომელიც, სხვათა შორის, წარსულში მორაგბე გახლდათ.

გარკვეული პაუზის შემდეგ ნინო კვლავ ფორმაში დგება და ატლანტის ოლიმპიადისათვის ემზადება.

სპორტის გულშემატკივართ ალბათ აინტერესებთ ველოდოთ თუ არა ნინო სალუქვაძის მომდევნო წარმატებას.

სწორედ ამის გასაგებად სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ ჩამობნელებულ და გაყინულ ტირს ვეწვიეთ. ამჟამად აქ ემზადება ატლანტისთვის, მამის, ვახტანგ სალუქვაძის ხელმძღვანელობით ჩვენი ოლიმპიელი.

ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ ნესტიან სარდაფში [illegible] წვრთნა კი არა, ათ წუთსაც ვერ გაჩერდება ადამიანი.

საინტერესოა ნინოს აზრი:

— ყველაფრის შეგუებას ვცდილობ, მაგრამ ამ პირობებში ვარჯიში ძალიან ძნელია. რაც შეეხება სპორტულ ინვენტარს, ტყვია-წამლით იტალიის ფირმა მამარაგებს, ავსტრიის ფირმამ კი იარაღი გვაჩუქა მე და ორ ქართველ მსროლელსაც. მოძველდა ფარდენი. ახალია საჭირო, მაგრამ...

— რა ასპარეზობები გაქვთ ატლანტამდე დაგეგმილი?

— ამ დღეებში საერთაშორისო ტურნირზე დანიას მივემგზავრები, მარტში უნგრეთში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ პნევმატიური იარაღით, შემდეგ მსოფლიო თასები — ჰავანა-ატლანტა და მილანი-მიუნხენი, სადაც ალბათ შეკრებაზეც დავრჩები. ამ ასპარეზობებზე სპორტის დეპარტამენტი მაფინანსებს, მაგრამ შიგადაშიგ ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტურნირებზე გამოსვლაც — ძალებისა და შესაძლებლობების მოსასინჯად, ამის სახსრები კი უკვე აღარ არის.

— ვის თვლით მთავარ კონკურენტებად ოლიმპიადაზე?

— მთავარ კონკურენტად ისევ რჩება იუგოსლაველი იასნა სეკარიჩი, ასევე გერმანელებიც სერიოზული მეტოქეები არიან.

— ნინო, როგორც ვნახეთ, ძალიან ცუდ პირობებში გიხდებათ ვარჯიში, რაც შედეგებზე, გვინდა თუ არ გვინდა, ალბათ, მაინც იმოქმედებს. დროც გადის... მიწვევა კი, ვიცით, ბევრი გაქვთ, ხომ არ ფიქრობთ საქართველოს დატოვებას?

— პირველი მიწვევა ჯერ კიდევ 15 წლისას მქონდა, მაგრამ მაშინ არც კი მიფიქრია. აქ, თბილისში შეიძლება ვივარჯიშო, მაგრამ სროლაში ფსიქოლოგიურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, უამრავი პრობლემა კი ჩემზე ძალიან მოქმედებს. ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ...

ხათუნა ქუმბურიძე.

ჩოგანი

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს მშენებლობის ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამინისტროს მთავარი მრჩეველი, მრავალი ჯილდოების, „ღირსების ორდენის“ კავალერი,

თინათინ კონსტანტინეს ასული ქუთათელაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

დაარსდა ლიტერატურული სახელოსნო

ითვალისწინებს რა ჩვენს სკოლებში მოსწავლეთა შორის მშობლიური და, საერთოდ, ლიტერატურის, მუსიკის, თეატრობის სწავლების მინიმალურ შესაძლებლობებს, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექცია და კოლექტივი საჭიროდ თვლის, დააარსოს ლიტერატურული სახელოსნო.

ლიტერატურულ სახელოსნოში მოსწავლე ახალგაზრდობის მიღება იწარმოებს გასაუბრების საფუძველზე.

მეცადინეობა დაიწყება 1 მარტიდან და ჩატარდება კვირაში სამჯერ (ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი).

მათთვის, ვინც სწავლობს დილის ცვლაში, მეცადინეობა დაიწყება დღის 3 საათზე, ხოლო მეორე ცვლის მოსწავლეთათვის — 11 საათზე.

ლიტერატურული სახელოსნო იმუშავებს საქველმოქმედო საწყისებზე, მოწვეულ კომპეტენტურ ლექტორთა შრომა კი ანაზღაურდება ხელშეკრულების საფუძველზე.

მუზეუმთან არსებული ლიტერატურული სახელოსნო მთელი საქართველოს შემოქმედ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ლექცია-სემინარებს ჩაატარებს წელიწადში ორჯერ — გაზაფხულსა და შემოდგომაზე (მაისი, ნოემბერი).

გარდა ამისა, დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეს — 17 ნოემბერს მოეწყობა ნორჩ პოეტთა რესპუბლიკური კონკურსი საუკეთესო ლექსისათვის. გამარჯვებულს ჯილდოდ გადაეცემა გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერის პირი და 100 ლარი.

ლიტერატურული სახელოსნო პერიოდულად მოაწყობს ინტელექტუალურ თამაშობებს და ვიქტორინებს. გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან სამახსოვრო წიგნებით და ავტოგრაფებით.

მხატვრულ კითხვაში გამოჩენილ მოსწავლეებს ლიტერატურული სახელოსნოს [illegible] რეკომენდაციის საფუძველზე მუზეუმშივე არსებულ ლიტერატურულ თეატრთან სათანამშრომლოდ (სათანადო ანაზღაურებით).

ნორჩ შემოქმედთა საუკეთესო ლექსები და მოთხრობები გამოქვეყნდება ლიტერატურის მუზეუმის ყოველწლიურ [illegible].

მოსწავლე ახალგაზრდობა სათანადოდ გაეცნობა მუზეუმში დაცულ ეროვნულ საგანძურს და სამუზეუმო საქმიანობას.

ლიტერატურული სახელოსნოს ხელმძღვანელია ისა ორჯონიკიძე.

შენიშვნა: ნორჩ შემოქმედებს ვთხოვთ, განცხადებები შემოიტანონ ა/წლის 25 თებერვლის ჩათვლით. გასაუბრება ჩატარდება 26-29 თებერვალს. გასაუბრებაზე აუცილებელია თან იქონიოთ საკუთარი შემოქმედების ნიმუშები. ცნობებისათვის მიმართეთ კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლებს ციცო მელაძესა და თამარ ბარისაშვილს. ტელეფონები: 93-50-19, 95-28-90, 99-86-67.

საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

მისამართი: გ. ჭანტურიას ქუჩა № 8 (ყოფილი ჯორჯიაშვილის ქუჩა).

ნეკროლოგი

ალექსანდრე ნიჟარაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ყოფილი შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, წლების მანძილზე ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო საკითხებში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე ივანეს ძე ნიჟარაძე.

დაიბადა 1906 წელს თბილისში, ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის ივანე ნიჟარაძის ოჯახში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ა. ნიჟარაძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო თბილისის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, სადაც იგი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, პარალელურად კითხულობდა ლექციებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

1958 წლიდან შრომის დაცვის ინსტიტუტშია. ბოლო 1964 წლიდან აწინაურებენ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო საკითხებში. იგი 100-მდე სამეცნიერო შრომისა და 15-მდე გამოგონების ავტორი იყო. მისი გამოგონებები ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა კავშირში. ბატონი ალექსანდრე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თანამშრომელთა და ნაცნობ-მეგობრებს შორის.

ბატონი ალექსანდრე შესანიშნავად ფლობდა უცხო ენებს, მიღებული ჰქონდა მუსიკალური განათლებაც. საინტერესოა, რომ იგი თავის დეიდასთან ეკატერინე პოლტორაცკაიასთან ერთად პარტნიორობას უწევდა ვანო სარაჯიშვილს საქველმოქმედო კონცერტებში.

წავიდა ჩვენგან მხცოვანი მეცნიერი, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი.

ინსტიტუტის თანამშრომლები.

ლევან სანიკიძე, რევაზ მიშველაძე, გურამ გოგიაშვილი, ჭაბუკ მამალაძე, გივი ლობჟანიძე, ვახტანგ ქარუმიძე, ზელიმ ზაალიშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ დარეჯან მეხიშვილს და ნიკო ბაკაშვილს მამისა და სიმამრის

ომარ მეხიშვილის

გარდაცვალების გამო.

ტელევიზია. ფილმები

დღეს, 14 თებერვალს

„კავკასია“

12.00 — რუსული მხატვრული ფილმი „ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება“.

მეორე არხი

22.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისარის ზარები“.

„ოსტანკინო“

19.20 — „ტროპიკული ქალის საიდუმლო“.
22.50 — მხატვრული ფილმი „სამხედრო-საველე რომანი“.
2.50 — ტელეფილმი „ღამის ვიზიტი“.

„რუსეთის არხი“

19.55 — „პეტერბურგის საიდუმლოებანი“.
21.35 — „სანტა-ბარბარა“.

ამინდი

14 თებერვალს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ნალექი, მთებში თოვლი. ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე იქროლებს წამში 10-15, ზოგან 20-25, დროგამოშვებით 29 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0+5, დღისით +7+12, მთაში — ღამით 0—5, დღისით +3+8, მაღალ მთაში — ღამით +4+9, დღისით 0—5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება ღრუბლიანი ამინდი, თოვლი, ზოგან ნისლი, გზებზე ლიპყინული, იქროლებს წამში 5-10 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0—5, დღისით —1+4, მთაში ღამით —2—7, დღისით —2+3, მაღალ მთაში — ღამით —10—15, დღისით —5—10 გრადუსი.

თბილისში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, მცირე თოვლი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ღამით 0—2, დღისით +1+3 გრადუსი.

მორიგე რედაქტორი არჩილ სანებლიძე

გამომცემელი — შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, 8. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 60484. ტელ.: 99-78-94. მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი